4. ბაქო-გენჯის მატარებელი 20:00 საათზე უნდა გავიდეს ადგილიდან. ტექნიკური მიზეზების გამო, მატარებელი დაგვიანებით საღამოს 9 საათზე გავიდა ადგილიდან. რამდენი საათით გვიან გავიდა მატარებელი?

5. **ჯგუფური სამუშაო.** ქვემოთ მოცემულია აეროპორტიდან თვითმფრინავების გაფრენის დროის შესახებ შეტყობინების ცხრილი. გარკვეით ცხრილი, წარმოადგინეთ შეტყობინებები.


რეისი	გაფრენის დრო	დაფრენის დრო
ბაქო - თბილისი	19:00	20:00
ბაქო - ანკარა	20:00	22:00
ბაქო - ლონდონი	12:00	18:00
ბაქო - მოსკოვი	16:00	19:00

100-ის ფარგლებში შეკრება

ორნიშნა და ერთნიშნა რიცხვების შეკრება.

10-ეულის შექმნის შემთხვევა

სწავლება: 1. მაგალითი. $34 + 8$. ვიპოვოთ ჯამი კუბების დახმარებით.



ყურადღება მიაქციეთ! 10 ცალი ერთეული კუბის ადგილას 1 ცალი 10-იანი ბლოკი დაიდება.


2. $34 + 8$ ჯამის $34 + 6 + 2$ სახით ჩაწერით, ახალი ათეულის დასრულებისათვის ხელსაყრელი შესაკრებების სახით ჩაწერითაც გაანგარიშება შეიძლება.

3. $34 + 8$ ჯამი სვეტებში ჩაწერით გავიანგარიშოთ.

- ♦ ერთეულები იკრიბება 8 ერთეული + 4 ერთეული = 12 ერთეული
- ♦ ჯამში მიღებული 12 ერთეული 1 ათეული და 2 ერთეულია. 2 ერთეული ერთეულების თანრიგში იწერება. 1 ათეული კი 3 ათეულს ემატება და ათეულების თანრიგში იწერება.

ათ.	ერთ.
1	
3	4
+	8
4	2

1. თითოეული სურათი შესაბამისი შეკრების მოქმედებით გამოსახეთ. იპოვეთ ჯამი.



2. ნიმუშში ნაჩვენებების მსგავსად, გაანგარიშებებით იპოვეთ ჯამი.

$$47 + 8 = 47 + 3 + 5 = 55 \quad 56 + 8 \quad 28 + 8 \quad 45 + 6$$

$$34 + 7 \quad 62 + 9 \quad 33 + 8$$

3. მაგალითებიდან ერთი მეორეს ზეპირ ამოხსნაში ეხმარება.

$$\begin{array}{r} 3 + 8 \\ 23 + 8 \end{array} \quad \begin{array}{r} 5 + 7 \\ 35 + 7 \end{array} \quad \begin{array}{r} 6 + 5 \\ 16 + 5 \end{array} \quad \begin{array}{r} 9 + 4 \\ 9 + 54 \end{array}$$

4. რვეულში ჩაწერეთ და გაიანგარიშეთ.

ათ.	ერთ.						
4	7	+ 64	+ 45	+ 59	+ 78	+ 28	+ 48
+	5	+ 8	+ 5	+ 4	+ 3	+ 7	+ 8
5	2	+ 73	+ 67	+ 39	+ 57	+ 46	+ 78
		+ 8	+ 5	+ 3	+ 6	+ 8	+ 7

5. ვტოსადგომზე 37 ავტომობილი იყო. სადგომზე ჯერ 3, შემდეგ კი 4 ავტომობილი მოვიდა. რამდენი ავტომობილი გახდა სულ? ამოცანა ამოხსენით სხვადასხვა ხერხებით.

100-ის ფარგლებში გამოკლება

ორნიშნა რიცხვიდან ერთნიშნა რიცხვის გამოკლება

10 ერთეულის გამოცალკავების შემთხვევა

სწავლება: მაგალითი . $43 - 9$


1. სხვაობა ჯერ კუბების დახმარებით ვიპოვოთ.

4 ათეული 3 ერთეული

ერთი 10-ეული
ერთეულებად დავშალოთ

13 ერთეულს
9 ერთეული გამოვაკლოთ

სხვაობა: 3 ათეული
4 ერთეული



2. $43 - 9$ სხვაობა სვეტებად ჩაწერით გავიანგარიშოთ, რადგან $3 < 9$, 4 ათეულიდან 1 ათეული 3 ერთეულს დავუმატოთ, ერთეულების რიცხვი იქნება 13.
13 ერთეულიდან 9 ერთეული გამოვაკლოთ, 4 ჩავწეროთ ერთეულის თანრიგში. დანარჩენი 3 ათეული, ათეულების თანრიგში იწერება.

ათ.	ერთ.
3	13
4	3
—	9
3	4

1. ერთი ათეული ერთეულებით შეცვალეთ.

$67 \rightarrow$ 6 ათეული 7 ერთეული \rightarrow 5 ათეული 17 ერთეული
 $32 \rightarrow$
 $83 \rightarrow$

2. იპოვეთ სხვაობა.

$\begin{array}{r} 51 \\ - 61 \\ \hline 8 \\ 53 \end{array}$	$\begin{array}{r} 52 \\ - 6 \end{array}$	$\begin{array}{r} 34 \\ - 5 \end{array}$	$\begin{array}{r} 71 \\ - 3 \end{array}$	$\begin{array}{r} 42 \\ - 9 \end{array}$	$\begin{array}{r} 61 \\ - 4 \end{array}$
$\begin{array}{r} 33 \\ - 7 \end{array}$	$\begin{array}{r} 45 \\ - 7 \end{array}$	$\begin{array}{r} 80 \\ - 7 \end{array}$	$\begin{array}{r} 64 \\ - 8 \end{array}$	$\begin{array}{r} 50 \\ - 8 \end{array}$	$\begin{array}{r} 75 \\ - 8 \end{array}$

3.

ერთ თოფში 30 მეტრი ქსოვილი იყო. საიდანაც ჯერ 5 მეტრი, შემდეგ კი 3 მეტრი ქსოვილი მოიჭრა. რამდენი მეტრი ქსოვილი დარჩა თოფში?

4.

მაგალითი სხვადასხვა ხერხით ამოხსენით. შეადარეთ.

1) $40 \bullet 42 - 3$ 2) $60 \bullet 66 - 7$ 3) $70 - 9 \bullet 70 - 7$

100-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

1. ჩაწერეთ მაგალითები რვეულში და ამოხსენით.

$\begin{array}{r} \boxed{6} \boxed{14} \\ - \quad 7 \quad 4 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} - 23 \\ - \quad 4 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} - 34 \\ - \quad 5 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} - 42 \\ - \quad 6 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} - 55 \\ - \quad 7 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} - 61 \\ - \quad 8 \\ \hline \end{array}$
$\begin{array}{r} \boxed{1} \\ + 47 \\ + \quad 6 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} + 78 \\ + \quad 5 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} + 37 \\ + \quad 4 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} + 43 \\ + \quad 8 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} + 44 \\ + \quad 6 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} + 68 \\ + \quad 8 \\ \hline \end{array}$

2. ათეულების დაშლით ამოსახსნელი მაგალითები ერთ სვეტში, დანარჩენები კი სხვა სვეტში ჩაწერით ამოხსენით.

$27 - 8$	$47 - 7$	$89 - 8$	$49 - 6$	$72 - 7$
$75 - 7$	$47 - 8$	$55 - 9$	$53 - 5$	$68 - 5$

3. განსაზღვრეთ თითოეულ სვეტში მაგალითების დალაგების წესი. გამოტოვებული მაგალითებიც დაამატეთ და ამოხსენით.




$13 - 7$	$5 + 9$	$16 - 8$
$23 - 7$	$15 + 9$	$26 - 8$
.....
$93 - 7$	$85 + 9$	$96 - 8$

4. ამოხსენით ამოცანები სურათის დახატვით.

1) ბაღში კიდევ 4 ბალის ხე რომ დაირგოს, მათი რაოდენობა 21 გახდება. რამდენი ბალის ხე იყო ბაღში?

2) ბაღში 21 ბროწეულის ხე და მასზე 9 ცალით ნაკლები ვაშლის ხეა. მსხლის ხეების რაოდენობა ვაშლის ხეების რაოდენობაზე 7 ცალით ნაკლებია. რამდენი მსხლის ხეა ბაღში?

5. თითოეული რობოტი მიღებულ რიცხვზე, მოცემული წესის მიხედვით შეკრებისა და გამოკლების მოქმედებას ასრულებს და გასასვლელისკენ აგზავნის. რობოტების საქმიანობის მიხედვით შეავსეთ ცხრილი.


<p>1)</p> 	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="width: 50%;">შესასვლელი</th> <th style="width: 50%;">გასასვლელი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>12</td> <td>17</td> </tr> <tr> <td>21</td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td>34</td> </tr> </tbody> </table>	შესასვლელი	გასასვლელი	12	17	21			34	<p>2)</p> 	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="width: 50%;">შესასვლელი</th> <th style="width: 50%;">გასასვლელი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>14</td> <td>8</td> </tr> <tr> <td>16</td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td>23</td> </tr> </tbody> </table>	შესასვლელი	გასასვლელი	14	8	16			23
შესასვლელი	გასასვლელი																		
12	17																		
21																			
	34																		
შესასვლელი	გასასვლელი																		
14	8																		
16																			
	23																		
<p>3)</p> 	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <thead> <tr> <th style="width: 50%;">შესასვლელი</th> <th style="width: 50%;">გასასვლელი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td></td> <td>24</td> </tr> <tr> <td>38</td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td>45</td> </tr> </tbody> </table>	შესასვლელი	გასასვლელი		24	38			45										
შესასვლელი	გასასვლელი																		
	24																		
38																			
	45																		

100-ის ფარგლებში შეკრება

ორნიშნა რიცხვების შეკრება. 10-ეულის შექმნის შემთხვევა.

სწავლება: მაგალითი. $34 + 17$.

1. გაანგარიშებები კუბების დახმარებით შევასრულოთ.



2. გაანგარიშებები სვეტებად ჩაწერით შევასრულოთ.

$$34 + 17 = 51$$

♦ ერთეული ერთეულის ქვეშ. ათეული ათეულის ქვეშ იწერება.

♦ ერთეულები იკრიბება. თუ შედეგი ათზე მეტია

მიღებულიდან ცალკე ათეული და ერთეულები გამოცალკავდება.

$$7 + 4 = 11 \rightarrow 1 \text{ ათეული და } 1 \text{ ერთეული.}$$

1 ერთეული ერთეულების თანრიგში იწერება.

ათ.	ერთ.
3	4
+ 1	7
5	1

♦ ათეულები იკრიბება, ერთეულების თანრიგიდან მიღებული

$$34 + 17 = 51$$

1 ათეული ათეულებს დაემატება.

$$3 \text{ ათ.} + 1 \text{ ათ.} + 1 \text{ ათ.} = 5 \text{ ათ.}$$

შედეგი ათეულების თანრიგში ჩაიწერება.

1. სვეტებში ჩაწერით გაიანგარიშეთ.

ათ.	ერთ.
5	8
+ 2	2
8	0

$$45 + 26$$

$$17 + 47$$

$$66 + 27$$

$$29 + 26$$

$$35 + 28$$

$$17 + 14$$

$$69 + 16$$

$$48 + 46$$

$$47 + 35$$

$$27 + 48$$

$$19 + 34$$

$$39 + 57$$

2. ფიგურების ადგილას ჩაწერეთ შესაბამისი ციფრები და გაიანგარიშეთ.

$$\heartsuit = 5$$

$$\blacktriangle = 6$$

$$\star = 3$$

$$\bullet = 4$$

$$2 \star + \blacktriangle = 4$$

$$\heartsuit = 3 + 4 \bullet$$

$$\bullet = 7 + 2 \blacktriangle$$

$$\heartsuit = 3 + \star = 1$$

3. იპოვეთ გამოტოვებული ციფრები.

$$3__ + __2 = 77$$

$$3__ + __5 = 72$$

4. თოფიკი კომპიუტერულ თამაშში მოპოვებული ყოველ 10 ქულისათვის 1 დამატებით ცდას იღებს. 1) თოფიკმა 37 ქულა მოაგროვა, მან რამდენი დამატებითი ცდა მოიგო? 2) 5 ცდის მოგებისათვის, სულ მცირე კიდევ რამდენი ქულა უნდა მოაგროვოს?

5. ჯამის შეცვლის წესი განსაზღვრეთ და კიდევ 5 ნაბიჯი განაგრძეთ:

$$7 + 4, \quad 8 + 14, \quad 9 + 24, \dots$$

100-ის ფარგლებში გამოკლება


ორნიშნა რიცხვების გამოკლება.

საკლების ერთეულების მაკლების ერთეულებზე ნაკლებობის შემთხვევა (10-ეულის გამოყოფის შემთხვევა).

სწავლება:


$$43 - 27 = 16$$

3 ერთეულს
7 ერთეული არ აკლდება




ათ.	ერთ.
4	3
- 2	- 7
2	6

ათეულების თანრიგიდან
1 ათეული ერთეულს
უნდა მივუმატოთ




ათ.	ერთ.
3	13
- 2	- 7
1	6

13 ერთეულს
7 ერთეული აკლდება



ათ.	ერთ.
3	13
- 2	- 7
1	6

2 ათეულს ვაკლებთ



ათ.	ერთ.
3	13
- 2	- 7
1	6

1. იპოვეთ სხვაობა.

ათ.	ერთ.
4	14
- 5	- 4
1	7
3	7

$34 - 19$

$71 - 36$

$54 - 28$

$42 - 27$

$67 - 19$

$32 - 17$

$74 - 48$

$45 - 16$

$21 - 15$

$51 - 33$

$44 - 27$

$43 - 16$

2. იპოვეთ ფერადი უჯრების შესაბამისი ციფრები.

1) $4 \square - \square 5 = 17$

2) $\square 7 - 3 \square = 24$

3) $7 \square - 6 \square = 8$

3. განსაზღვრეთ საკლებისა და მაკლების ცვლილების წესი და კიდევ 5 ნაბიჯი განაგრძეთ.

$14 - 9,$

$24 - 10,$

$34 - 11, \dots$

4. ზეპირად გაიანგარიშეთ.

$50 - 15$

$70 - 65$

$80 - 55$

$40 - 25$

$30 - 25$


$90 - 75$

$40 - 15$

$60 - 35$

$70 - 35$

$80 - 45$



100-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

1. ათეულის გამოცალკავებით რომლებიც იხსნებიან ერთ სვეტში, ხოლო დანარჩენები მეორე სვეტში ჩაწერეთ და ამოხსენით.

$83 - 26$

$71 - 43$

$84 - 56$

$58 - 36$

$53 - 25$

$76 - 48$

$97 - 45$

$46 - 23$

$63 - 44$

$74 - 58$

$38 - 14$

$56 - 23$

2. ერთეულების შეკრებისას 10-ეული რომელ მაგალითებშიც მიიღება ერთ სვეტში, დანარჩენები კი მეორე სვეტში ჩაწერეთ და ამოხსენით.

$47 + 38$

$25 + 48$

$61 + 17$

$52 + 27$

$34 + 32$

$36 + 18$

$23 + 64$

$28 + 24$

$54 + 21$

$44 + 47$

$45 + 19$

$72 + 19$

3. გარკვეით, შესაბამისი წესით დაასრულეთ და გაიანგარიშეთ.

$30 + 20$

$98 - 76$

$12 + 22 + 32$

$32 + 22$

$87 - 65$

$13 + 23 + 33$

$34 + 24$

$76 - 54$

$14 + 24 + \square$

$36 + \square$

$65 - \square$

$15 + \square + \square$

$\square + \square$

$\square - \square$

$\square + \square + \square$

4. მე-2^ბ კლასში მოსწავლე ბიჭების რაოდენობა გოგონების რაოდენობაზე 4-ით მეტია. 1) თუ კლასში 9 გოგონაა, მაშინ რამდენი ბიჭია? 2) სულ რამდენი მოსწავლეა მე-2^ბ კლასში?

5. მოცემულ რიცხვებს შორის **87 - 59** სხვაობის ტოლი რიცხვი მსჯელობის საფუძველზე შეარჩიეთ. თქვენი არჩევანი “**50** არ შეიძლება, რადგან **59 + 50 87-ზე** მეტია,...” -ის მაგვარი მოსაზრებების წარმოთქმით დაასრულეთ.

50

22


28

34

6. ჩავიფიქრე ერთი რიცხვი. ამ რიცხვის ათეულების რაოდენობა, ერთეულების რაოდენობაზე ორჯერ მეტია, ციფრების ჯამი კი 3-ის ტოლია. იპოვეთ ჩავიფიქრებული რიცხვი. თქვენც ამნაირი ამოცანები შეადგინეთ და მეგობრებს უთხარით.

100-ის ფარგლებში შეკრება და გამოკლება

1. ამოხსენით მაგალითები ნიმუშის შესაბამისად.



$$65 + 27 = 92$$

$$65 + 5 + 22$$

$$65, 70, 92$$


$$65 + 47$$

$$54 + 28$$

$$45 + 37$$

$$78 + 14$$

2. ამოხსენით მაგალითები ნიმუშის შესაბამისად.



$$65 - 27$$

$$5 \quad 22$$

$$65 - 5 = 60$$

$$60 - 22 = 38$$

$$65, 60, 38$$


$$73 - 17$$

$$54 - 29$$


$$45 - 16$$

$$66 - 28$$


3. სასწორების წონასწორობისათვის შესაბამის თევზზე რამდენი კუბის დამატება არის საჭირო?



$$20 = 12 + \underline{\quad}$$



$$30 = 17 + \underline{\quad}$$



$$40 = 22 + \underline{\quad}$$

4. ამოცანები ჯერ თქვენი სიტყვებით გადმოეცით, ამოხსნა თან ზეპირად, თანაც წერით წარმოადგინეთ.

- 1) საკლასო ოთახის სიგრძე 5 მ-ია, სკოლის დერეფნის სიგრძე კი მასზე 10 მ-ით მეტია. რამდენი მეტრია დერეფნის სიგრძე?

- 2) ჭურჭელში არსებული 30 ლ წყლიდან 17 ლ ეზოში მყოფი ვარდების მოსარწყავად, 12 ლ კი სახლში იქნა გამოყენებული. რამდენი ლიტრი წყალი დარჩა ჭურჭელში?

- 3) ლალეს 18, საპიბს 7 სტიკერი აქვს. იმისათვის, რომ საპიბის სტიკერის რაოდენობა ლალეს სტიკერის რაოდენობის ტოლი გახდეს, მას კიდევ რამდენი სტიკერი სჭირდება?

განმაზოგადებელი დავალებები

1. “თითოეულზე 1 ხე დავრგოთ!” ლოზუნგით ჩატარებულ ღონისძიებაზე სკოლის კოლექტივის მიერ დარგული ხეებისა და ყვავილების რაოდენობის შესახებ შეტყობინება ცხრილშია მოცემული. შეადგინეთ სხვადასხვა ამოცანები ცხრილის მიხედვით.

ხეები და ყვავილები	რაოდენობა
ხილის ხეები	32
დეკორატიული მცენარეები	24
მრავალწლიანი ყვავილები	47
სეზონური ყვავილები	65

2. მაგალითები ნიმუშში ნაჩვენებებით ჩაწერეთ და ამოხსენით.

ათ.	ერთ.	ათ.	ერთ.	$45 + 22$	$57 - 23$	$72 + 21$
$\begin{array}{r} 1 \\ 4 \\ + 2 \\ \hline 7 \end{array}$	$\begin{array}{r} 7 \\ 5 \\ \hline 2 \end{array}$	$\begin{array}{r} 6 \\ 7 \\ - 2 \\ \hline 4 \end{array}$	$\begin{array}{r} 11 \\ 1 \\ 9 \\ \hline 2 \end{array}$			
				$71 - 29$	$74 + 17$	$33 + 39$
				$35 + 45$	$55 - 34$	$42 - 24$

3. შეადარეთ:

$55 + 30$	$90 - 7$	$58 - 20$	$35 + 10$
$42 + 50$	$75 - 5$	$36 - 8$	$40 + 17$
$65 - 9$	$85 - 24$	$76 + 9$	$73 + 20$

4. პირველ სვეტში მაგალითების შედგენის წესის მიხედვით, დანარჩენ სვეტებში მაგალითების თანამიმდევრობა დაასრულეთ და ამოხსენით.

$80 - 9$	$50 - 6$	$70 - 8$	$60 - 7$
$70 - 8$	$40 - 5$
$60 - 7$
$50 - 6$

5. რვეულში ერთნაირი ზომის 4 მართკუთხედი დახაზეთ და ქვემოთ მოცემული წესით გააფერადეთ.

წითელი მართკუთხედი ცისფერ და ყვითელ მართკუთხედებს შორის, მწვანე მართკუთხედი კი ცისფერი მართკუთხედის მარცხნივ იყოს.

6. ჩავიფიქრე ერთი რიცხვი. ეს რიცხვი უდიდეს ორნიშნა ლუწ რიცხვზე 2 ათეულით ნაკლებია. რა რიცხვი ჩავიფიქრე?

ჩვენი ფული

კაპიკი ფული

სწავლება:

კაპიკი ფულები დიდიდან მცირეს მიმართულებით რიგით დალაგეთ და დათვალოთ.

50 70 80 85 88 89

ჯამი: 89 კაპიკი

1. ფული დაწყობილი რიგის მიხედვით მიმდევრობითი შეკრებით დათვალოთ.

1) 50 10 10 5 3

50 60 70 75 78

ჯამი: 78 კაპიკი.

2) 20 20 10 10 5

3) 20 10 5 3 3

4) 10 10 5 5 3

2. აზერის, აიანის, ლეილას და ჯავიდის ყულაბებში შეგროვილი ფული დათვალოთ. ვის მეტი ფული შეუგროვებია?

აზერ

აიან

ლეილა

ჯავიდ

3. ყველაზე დიდი კაპიკი ფულიდან დაწყებით დათვალოთ.

1) 50 20 10 5 3

50, 70, 80, 85, 88







ჯამი: 88 კაპიკი.

2) 20 20 10 5 3 1 1


3) 10 10 10 10 5 5 3 3 5 5

შეიძინე და გადაიხადე (კაპიკობით)



1. გაიანგარიშეთ დარჩენილი ფული.

შემენილი ნივთი			
გადახდილი ფული			
ფულის ნაშთი	?	?	?




2. თუ თქვენ 2 ცალი 20 კაპიკიანი, 2 ცალი 10 კაპიკიანი და 2 ცალი 5 კაპიკიანი გაქვთ, 40 კაპიკი ფასის მქონე ერთი ყუთი ხილის წვენი ფული რომელი კაპიკებით შეგიძლიათ გადაიხადოთ? მოიფიქრეთ სხვადასხვა ვარიანტები.



3. შეეცადეთ თითოეულის შემენისას ნაკლები რაოდენობის კაპიკით გადაიხადოთ.



4. ქვემოთ მოცემული საგნები მხოლოდ 5 ან კიდევ 3 კაპიკიანების გადახდით შეიძინეთ.



5. ერთი ნაყინის ფასი 35 კაპიკია. ეჭერმა ნაყინისათვის 50 კაპიკიანი მისცა. რამდენი კაპიკი უნდა დაუბრუნოს მას გამყიდველმა?

6. ქემერმა ყულაბაში შეგროვილი კაპიკი ფული დათვალა. ყულაბიდან 10 ცალი 5 კაპიკიანი, 3 ცალი 3 კაპიკიანი, 12 ცალი 1 კაპიკიანი გამოვიდა. რამდენი ფული შეუგროვებია ქემერს?





ჩვენი ფული. მანეთი

სწავლება:

ქალაქის ფული დიდიდან მცირეს მიმართულებით რიგის მიხედვით დაალაგეთ და დათვალოთ.



50, 70, 80, 85, 90, 91, 92 ჯამი 92 მანეთი
მანეთის ნიშანი:  მაგალითად, 92 მანეთი 92  -ვით იწერება.

- 1) სურათზე ქალაქის ფულებს შორის ღირებულების მიხედვით ყველაზე პატარა ფული რომელია და რამდენი ცალია?
2) ღირებულების მიხედვით ყველაზე დიდი ფული რომელია და რამდენი ცალია?



2. ნაზიმი ფულს ქვემოთ მოცემული მიმდევრობით ითვლის. განსაზღვრეთ ამათგან რომელია ქალაქის ფული. სავარჯიშო შეასრულეთ ქალაქისგან მოჭრილი ფულის ნიმუშების შესაბამისად.

ა) ნაზიმი დათვალა: 10, 15, 25, 35, 55, 60

ბ) 5, 10, 60, 61, 62

მანეთიანები:

გ) 20, 21, 22, 27, 37

დაალაგეთ:

დათვალოთ: 20, 30, 40, 50, 55, 60

ჯამი : 60 მანეთი

3. პერანგის ფასი 12 მანეთია. ფეხსაცმლის ფასი მასზე 10 მანეთით ძვირია. რამდენი მანეთი ღირს ფეხსაცმელი?

4. ერთი მოსწავლის ჩანთის ფასი 17 მანეთია. 2 თვის განმავლობაში ჩანთის ფასი, ჯერ 3 მანეთით, შემდეგ კი, კიდევ 5 მანეთით გაიზარდა. რამდენი მანეთი გახდა ჩანთის საბოლოო ფასი?


4. ქოთნის ყვავილისათვის გადახდილი იქნა 15 მანეთი. გადახდილი ქალაქის ფულის რაოდენობა 6 ცალი იყო.

- 1) განსაზღვრეთ ეს ქალაქის ფულები.
- 2) ეს ფული ერთი და იგივე ქალაქის ფულით გადაიხადეთ.



მანეთი და კაპიკი

სწავლება:



1 მანეთი 100 კაპიკია



აქ 1 მანეთი და 10 კაპიკი ფულია


ამოცანები ქალაქისგან მოჭრილი ფულის მოდელებით ამოხსენით.

1. დათვალეთ ფული.

1)



2)



3)



2. რომელია მეტი?

1 მანეთი და 40 კაპიკი, თუ 1 მანეთი და 60 კაპიკი.

2 მანეთი და 10 კაპიკი, თუ 1 მანეთი და 90 კაპიკი.

3. ქალბატონ ნაილეს შექმნილი პროდუქტის ფულის გადახდისას მოლარემ ხუთი მანეთი ფულის ნაშთი დაუბრუნა. ქალბატონ ნაილეს შექმნილი პროდუქტის ფასი მთლიანობაში 25 მანეთი იყო. 1) ქალბატონ ნაილეს სალაროში რამდენი მანეთი ჰქონდა მიცემული? 2) სალაროში მიცემული თანხა რომელი ქალაქის ფულები შეიძლება იყოს?

ვარიანტები ქალაქისგან მოჭრილი, გამზადებული ფულებით უჩვენეთ.

4. 1) ელნარეს ჰქონდა 1 მანეთი და 40 კაპიკი ფული. პაპამ მას კიდევ 50 კაპიკი მისცა. კიდევ რამდენი კაპიკი უნდა ჰქონდეს ელნარეს, რომ მას 2 მანეთი გაუხდეს?

2) ველი ამბობს, რომ მისი ფული 20 კაპიკიანებია. კიდევ 2 ცალი 20 კაპიკიანიც რომ ჰქონდეს, ერთი მანეთი ფული ექნება. რამდენი 20 კაპიკიანი აქვს ველის? რამდენი კაპიკი ფული აქვს ველის?

5. ნარიმანმა 2 მანეთი და 40 კაპიკი ფული ძმასთან თანაბრად გაიყო. რამდენი ფული შეხვდა თითოეულს?

6. **ჯგუფური სამუშაო**

სხვადასხვა ხერხით, კაპიკებით 1 მანეთი მიიღეთ.



შეკრებისა და გამოკლების ურთიერთკავშირი

სწავლება:

თუ ერთი შეკრების მოქმედებას შეასრულებთ, მისი შესაბამისი 2 გამოკლების მოქმედების შესრულებას ადვილად შესძლებთ.

$$26 + 35 = 61 \qquad 61 - 35 = 26 \qquad 61 - 26 = 35$$

გამოკლების მოქმედების სწორად შესრულება, თან შეკრების, თანაც გამოკლების მოქმედების დახმარებით შეგიძლიათ შეამოწმოთ.

$$57 - 24 = 33 \qquad 33 + 24 = 57 \qquad 57 - 33 = 24$$

1. შეკრების მოქმედების შესახებ მაგალითების ამოხსნით, გამოკლების შესახებ მაგალითების ადვილად ამოხსნას შესძლებთ.

1) $22 + 21$	$43 - 21$	2) $53 + 23$	$76 - 53$
$22 + 32$	$54 - 32$	$26 + 31$	$57 - 26$
$20 + 44$	$64 - 44$	$35 + 43$	$78 - 35$

2. რომელს მეტი შეცდომა აქვს? ამოხსნის სისწორის ყოფნა-არ ყოფნის შესახებ მოსაზრება, შეკრების მოქმედების დახმარებით შეამოწმეთ.

ქამალ				გულერ			
$\begin{array}{r} 53 \\ -27 \\ \hline 16 \end{array}$	$\begin{array}{r} 47 \\ -22 \\ \hline 25 \end{array}$	$\begin{array}{r} 51 \\ -34 \\ \hline 16 \end{array}$	$\begin{array}{r} 64 \\ -46 \\ \hline 18 \end{array}$	$\begin{array}{r} 78 \\ -37 \\ \hline 31 \end{array}$	$\begin{array}{r} 53 \\ -45 \\ \hline 8 \end{array}$	$\begin{array}{r} 87 \\ -52 \\ \hline 35 \end{array}$	$\begin{array}{r} 45 \\ -28 \\ \hline 17 \end{array}$

3. თერანე და ბებიაშის წიწილებს ითვლიან. მათ სულ 45 წიწილა დათვალეს. წიწილებიდან 23 თეთრი, დანარჩენი წითელი ფერისაა. რამდენი წითელი წიწილა დათვალა თერანემ ბებიაშთან ერთად?
ამოცანის პირობა ისე შეცვალეთ, რომ შეკითხვაში: ა) თეთრი წიწილების რაოდენობის მოძებნა; ბ) ყველა წიწილის რაოდენობის მოძებნა მოთხოვნილ იქნას.

4. რვეულში დაასრულეთ.

$$28 \begin{array}{l} \xrightarrow{+28} \blacksquare \\ \xleftarrow{-28} \end{array}$$

$$42 \begin{array}{l} \xrightarrow{+17} \blacksquare \\ \xleftarrow{-17} \end{array}$$

$$55 \begin{array}{l} \xrightarrow{+23} \blacksquare \\ \xleftarrow{-23} \end{array}$$

$$33 \begin{array}{l} \xrightarrow{+27} \blacksquare \\ \xleftarrow{-27} \end{array}$$

$$34 \begin{array}{l} \xrightarrow{+32} \blacksquare \\ \xleftarrow{-32} \end{array}$$

$$62 \begin{array}{l} \xrightarrow{+33} \blacksquare \\ \xleftarrow{-33} \end{array}$$

შეკრებისა და გამოკლების ურთიერთკავშირი

ამოცანის ამოხსნა

სწავლება: ამოცანაში მოცემულობისა და საძიებელის ადგილების შეცვლით ახალი ამოცანის შედგენა შეიძლება.

ამოცანა 1. მე-2 კლასის მოსწავლეებმა დღესასწაულზე 12 1-ლ კლასელი და 9 მე-3 კლასელი დაპატიჟეს. მე-2 კლასელებმა სულ რამდენი მოსწავლე დაპატიჟეს?

სულ	
?	
ნაწილ	ნაწილ
12	9

ამოცანა 2. მე-2 კლასის მოსწავლეებმა დღესასწაულზე სულ 21 მოსწავლე დაპატიჟეს. ამათგან 9 იყო 1-ლ კლასელი, დანარჩენები მე-3 კლასის მოსწავლეები. რამდენი მე-3 კლასის მოსწავლე იყო დაპატიჟებული?

სულ	
21	
ნაწილ	ნაწილ
?	9

ამოცანა 3. მე-2 კლასის მოსწავლეებმა დღესასწაულზე სულ 21 მოსწავლე დაპატიჟეს. ამათგან 12 მე-3 კლასის, დანარჩენები 1-ლი კლასის მოსწავლეები იყვნენ. დღესასწაულზე რამდენი 1-ლ კლასელი იყო დაპატიჟებული?

სულ	
21	
ნაწილ	ნაწილ
12	?

თითოეული ამოცანის მიხედვით შეადგინეთ ახალი ამოცანები და დახაზეთ ცხრილები.

1. სათბურის მწკვრივებში დარგული 56 პომიდვრის ჩითილიდან 17-მა ყვავილი გაიშალა. დანარჩენებს ყვავილი არ გაუშლიათ. რამდენი პომიდვარი არ გაყვავებულა ჯერ?

სულ	
ნაწილ	ნაწილ

2. შეჯიბრში სკოლის გუნდმა “მამაცი” 46 ქულა, გუნდმა “არწივები” კი 58 ქულა მოაგროვა. რამდენი ქულა მოაგროვა სკოლის ორივე გუნდმა სულ?

სულ	
ნაწილ	ნაწილ

3. ახალი წლის დღესასწაულზე მონაწილე მოსწავლეებს სხვადასხვა ზღაპრის გმირების განსახიერებისათვის ნიღბები უნდა გაემზადებინათ. მოსწავლეებმა 28 ნიღბიდან 17 გაამზადეს. კიდევ რამდენი ნიღბი უნდა დაამზადონ მათ?

სულ	
ნაწილ	ნაწილ

4. აპრილის თვეში 7 დღე წვიმიანი, დანარჩენი დღეები მზიანი იყო. რამდენი მზიანი დღე იყო აპრილის თვეში?

სულ	
ნაწილ	ნაწილ

ამოცანის ამოხსნა


გამოარკვეით ზედმეტი შეტყობინება

1. ნაზიმმა სულ 24 მაგიდა და სკამი შელესა. მათგან 4 მაგიდაა, დანარჩენი კი სკამი. მან ეს 3 დღეში შეასრულა. რამდენი სკამი შელესა ნაზიმმა?



2. მეჰმანს თეთრი და ნაცრისფერი 27 კურდღელი ჰყავს. თეთრი კურდღლებიდან 4-ს სძინავს. კურდღლებიდან 12 თეთრია. რამდენი ნაცრისფერი კურდღელი ჰყავს მეჰმანს?

3. ნეზრინს 24 ყვავილის სტიკერი (წებოიანი სურათები) აქვს. აქედან 5 მას მეგობარმა გოგონამ აჩუქა. ნეზრინმა 12 სტიკერი რვეულის მოსართავად გამოიყენა. რამდენი ყვავილის სტიკერი დარჩა ნეზრინს?



4. მოედანზე 12 ბავშვი ფრენბურთს თამაშობს მათგან 4 ერთ კლასში სწავლობს. მოედანზე კიდევ 14 მოსწავლე ვარჯიშობს. სულ რამდენი მოსწავლეა მოედანზე?

5. მეორე კლასის მოსწავლეები კვირა დღეს ხელოვნების მუზეუმში ექსკურსიაზე წასვლას გეგმავენ. მუზეუმში მე-2^ა კლასიდან 21 მოსწავლე, მე-2^ბ კლასიდან 27 მოსწავლე წავა. 3 მშობელი ექსკურსიის დროს მასწავლებლებს დაეხმარება. სულ რამდენი მოსწავლე წავა ექსკურსიაზე?

თვითშეფასება

1. შეასრულეთ გამოკლების მოქმედებები, ამოხსნის სისწორე შეამოწმეთ შეკრების მოქმედების დახმარებით.

$$\begin{array}{r} 44 \\ -28 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 72 \\ -27 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 43 \\ -32 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 81 \\ -44 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 52 \\ -24 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 73 \\ -58 \\ \hline \end{array}$$

2. ამოხსენით ამოცანები მთელი-ნაწილი ცხრილის ჩახაზვით

ა) ორ ყუთში სულ 48 ბურთულაა. თუ ერთ-ერთ ყუთში 27 ბურთულაა, მაშინ რამდენი ბურთულაა მეორე ყუთში?

ბ) პირობა ისე შეცვალეთ, რომ ამოცანა შეკრების მოქმედების დახმარებით ამოიხსნას.

სულ	
ნაწილი	ნაწილი

3. ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან, ერთი შეკრებისა და გამოკლების ოჯახს მიკუთვნებულები სამ-სამად დააჯგუფეთ. რამდენი ჯგუფი მიიღეთ?

23, 17, 18, 55, 38, 10, 41, 60, 50

4. ორნიშნა რიცხვი და ერთნიშნა რიცხვი შეკრებილია ან კიდევ გამოკლებულია. ქვემოთ მოცემული ტოლობებიდან რომელია შესაძლებელი? გაარკვიეთ ყველა შემთხვევა.

$$3\square + \square = 52$$

$$4\square - \square = 34$$

$$3\square + \square = 42$$

$$4\square - \square = 24$$

5. მამა ნათიკს სთხოვა, რომ პარკებიდან ერთ-ერთი აეღო და სახლში წაეღო. ნათიკმა ივარაუდა, რომ მსუბუქი იქნებოდა, ამიტომ პატარა პარკი აიღო. ორი პარკიდან ერთში 5 კგ ფქვილი, მეორეში 5 კგ კომბოსტო იყო. შესძლო ნათიკმა მსუბუქი პარკის არჩევა?



6. ჩაწერეთ ფერადი უჯრების შესაბამისი რიცხვები.

$$43 + 57 = 43 + \blacksquare + 7$$

$$86 - 52 = 86 - 50 - \blacksquare$$

$$31 + 46 = \blacksquare + 1 + 46$$

$$46 - 24 = 46 - \blacksquare - 4$$

$$58 + 37 = 58 + \blacksquare + 7$$


$$85 - 53 = 85 - \blacksquare - 3$$

$$49 + 26 = 49 + 20 + \blacksquare$$

$$74 - 26 = 74 - 20 - \blacksquare$$

მე-3 განყოფილება

- სწრაფი გაანგარიშების უნარები
- გეომეტრიული ფიგურები
კვადრატი, მართკუთხედი, სამკუთხედი, წრე
- ფრჩხილებიანი გამოსახულებები
- გეომეტრიული ფიგურები
კუბი, მართკუთხა პრიზმა, ცილინდრი, კონუსი, ბირთვი
- საგნის ადგილმდებარეობა



LAYH

სწრაფი გაანგარიშების უნარები

1. ნიმუშში მოცემული გაანგარიშების ხერხი გაარკვეით. ხელსაყრელი ხერხით გაიანგარიშეთ.

$$23 + 16 + 27 = 23 + 27 + 16 = 50 + 16 = 66$$

$$36 + 29 + 24$$

$$48 + 26 + 12$$

$$11 + 37 + 49$$

$$17 + 48 + 23$$

$$55 + 27 + 15$$

$$28 + 39 + 32$$

2. ისარგებლეთ რიცხვის ორმაგით და ზეპირად გაიანგარიშეთ.

$$15 + 15$$

$$25 + 25$$

$$35 + 35$$

$$45 + 45$$

$$55 + 55$$

$$15 + 16$$

$$25 + 26$$


$$35 + 35$$

$$45 + 46$$


$$55 + 56$$

3. მოცემული რიცხვითი ბარათები მოთხოვნილი პირობების შესაბამისად ორ-ორად დავაჯგუფოთ. შესაბამისი მაგალითები დაწერეთ და შეასრულეთ.

- 1) ჯამი 50 იყოს
- 2) ჯამი 60 იყოს
- 3) ჯამი 70 იყოს
- 4) ჯამი 80 იყოს
- 5) ჯამი 90 იყოს



4. პიქტოგრამა მაღაზიაში ერთი კვირის განმავლობაში დღიურად გაყიდული შაქრის წონას უჩვენებს. ყოველი დიდი პარკი 10 კგ, ყოველი პატარა პარკი 2 კგ შაქრის გაყიდვას გვატყობინებს. პიქტოგრამას მიხედვით შეადგინეთ შეკითხვები.



სწრაფი გაანგარიშების უნარები

1. ფერადი წრეების ადგილას “+” და “-” ნიშნები ისე ჩაწერეთ, რომ ტოლობები სწორი აღმოჩნდეს. ერთი ნიმუშიც თქვენ დაამატეთ.

$$20 \bullet 10 \bullet 5 = 15$$

$$40 \bullet 25 \bullet 30 = 45$$

$$59 \bullet 30 \bullet 11 = 100$$

$$_ \bullet _ \bullet _ = _$$

$$38 \bullet 20 \bullet 18 = 0$$

$$60 \bullet 40 \bullet 19 = 39$$

$$90 \bullet 9 \bullet 1 = 80$$

$$_ \bullet _ \bullet _ = _$$

2. რამდენი 10 კაპიკიანია?

- 2 ცალი 20 კაპიკიანი;
- 1 ცალი 20 კაპიკიანი და 1 ცალი 50 კაპიკიანი;
- 2 ცალი 20 კაპიკიანი და 2 ცალი 5 კაპიკიანი;
- 3 ცალი 20 კაპიკიანი და 1 ცალი 10 კაპიკიანი.

3. ნიმუშები გაარკვიეთ. ამ ხერხით ზეპირად გაიანგარიშეთ.

$$22 + 39 = 61$$

$$64 - 29 = 35$$

$$59 + 36$$

$$29 + 45$$

$$22 + 40 = 62$$

$$64 - 30 = 34$$

$$93 - 49$$

$$77 - 19$$

$$62 - 1 = 61$$

$$34 + 1 = 35$$

$$75 - 59$$



$$46 + 39$$

4. ცხრილი რვეულში დაასრულეთ.

■	■	+10
23	33	
42		
53		
67		

■	■	- 10
56	46	
68		
83		
47		

5. სურათზე ნაჩვენებია თითოეული კატის ერთკვირეულ საჭმელში დახარჯული ფული. რომელი კატის საჭმელში უფრო მეტი ფული იხარჯება? პასუხი შესაბამისი რიცხვების შედარების დაწერითაც უჩვენეთ.



შეკრიბეთ 100 მიიღეთ, 100-ს გამოაკელით


განგარიშებები ჯერ ზეპირად, შემდეგ კი რვეულში ჩაწერით შეასრულეთ.

1.
$$\begin{array}{r} 59 + 41 = 100 \\ 59 + 1 \\ 60 + 40 \end{array}$$


$$\begin{array}{r} 67 + 33 \\ 67 + \blacksquare \\ 70 + \blacksquare \end{array}$$

$$\begin{array}{r} 38 + 62 \end{array}$$

2.
$$\begin{array}{l} 72 + \blacksquare = 100 \\ 58 + \blacksquare = 100 \\ 37 + \blacksquare = 100 \\ 85 + \blacksquare = 100 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 53 + \blacksquare = 100 \\ 66 + \blacksquare = 100 \\ 44 + \blacksquare = 100 \\ 21 + \blacksquare = 100 \end{array}$$
 

3.
$$\begin{array}{l} 100 - 20 \\ 100 - 10 \\ 100 - 70 \\ 100 - 40 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 100 - \blacksquare = 70 \\ 100 - \blacksquare = 20 \\ 100 - \blacksquare = 10 \\ 100 - \blacksquare = 50 \end{array}$$
 

4.
$$\begin{array}{r} 100 - 26 = 74 \\ 100 - 20 = 80 \\ 80 - 6 = 74 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 100 - 36 \\ 100 - 19 \\ 100 - 47 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 100 - 64 \\ 100 - 28 \\ 100 - 34 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 100 - 75 \\ 100 - 92 \\ 100 - 53 \end{array}$$

5.
$$\begin{array}{l} 10 - 8 = 2 \\ 100 - 18 \\ 100 - 28 \\ 100 - 38 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 10 - 7 = 3 \\ 100 - 17 \\ 100 - 27 \\ 100 - 37 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 10 - 1 = 9 \\ 100 - 11 \\ 100 - 21 \\ 100 - 31 \end{array}$$

$$\begin{array}{l} 10 - 4 = 6 \\ 100 - 14 \\ 100 - 24 \\ 100 - 34 \end{array}$$

6. **გამოკვლევა**

ახალ დაარსებულ ქუჩაზე 100 სახლია. სახლების დანომრისათვის დურგალთან ციფრების გამზადებისათვის შეკვეთა იყო მიცემული. დურგალმა 1-დან 100-მდე სახლების დანომრისათვის ფიცრიდან რამდენი ციფრი 9 უნდა დაამზადოს?

განმაზოგადებელი დავალებები

1. გამოტოვებული მაგალითები დაამატეთ. იპოვეთ სხვაობა.


$43 - 21$	$54 - 13$	$_ - _$	$53 - 12$
$43 - 12$	$_ - _$	$65 - 24$	$_ - _$
$34 - 21$	$45 - 13$	$56 - 42$	$_ - _$
$34 - 12$	$45 - 31$	$_ - _$	$_ - _$

2. ჩაწერეთ უჯრებში შესაბამისი ციფრები.

$90 - 7 = \square 3$	$60 - 2 = \square 8$	$80 - 4 = \square 6$
$60 - 5 = \square 5$	$40 - 3 = \square 7$	$60 - 5 = \square 5$
$70 - 8 = \square 2$	$50 - 7 = \square 3$	$40 - 7 = \square 3$
$50 - 3 = \square 7$	$30 - 3 = \square 7$	$20 - 6 = \square 4$

3. ჩავიფიქრე ერთი რიცხვი. ამ რიცხვის ათეულების რაოდენობას 2 ერთეულით, ერთეულების რაოდენობას 1 ერთეულით თუ გავზრდით, უმცირესი სამნიშნა რიცხვი მიიღება. რა რიცხვი ჩავიფიქრე?

4. ცარიელ უჯრებისათვის იპოვეთ შესაბამისი რიცხვები.



5. კაპიკები შეავსეთ 1 მანეთამდე.


1 მანეთი	
	35
50	
	85
30	

1 მანეთი	
20	
	95
45	
	60


გეომეტრიული ფიგურები

წრფე, სხივი, მონაკვეთი, კუთხე


სწავლება:



კვადრატის, მართკუთხედის კუთხეები მართი კუთხეებია. გარდა ამისა არსებობს მახვილი კუთხე და ბლაგვი კუთხე.



მართი კუთხე



მახვილი კუთხე



მახვილი კუთხე მართ კუთხეზე ნაკლებია

ბლაგვი კუთხე



ბლაგვი კუთხე მართ კუთხეზე მეტია


1. გაარკვიეთ კუთხის სახეები.



2. ელგუნი სკოლიდან საკმაო ხანია დაბრუნდა. დედამ სამსახურიდან დარეკა, მასთან ისაუბრა, შემდეგ საათი იკითხა. ელგუნმა დედას უთხრა: “საათის ისრები მართ კუთხეს ქმნიან და სრულ საათს უჩვენებს.” ამ პასუხის მიხედვით შეუძლია ელგუნის დედას, გაარკვიოს რომელი საათია?



3. ქვემოთ მოცემულ კუთხეებს შორის გამოარკვიეთ მართი, ბლაგვი და მახვილი კუთხეების რაოდენობა. მეტალის მეტრიანით მოახდინეთ სხვადასხვა კუთხეების მოდელირება.




LAYH


გეომეტრიული ფიგურები

კვადრატი, მართკუთხედი, სამკუთხედი, წრე


ქვემოთ მოცემული ფიგურებიდან თითოეული რგულში დახაზეთ. თითოეული ფიგურის სახელი, გვერდების წვეროების და კუთხეების რაოდენობა დაწერეთ.




1. სურათზე რამდენი წრფე, ტეხილი, მრული ხაზი, მონაკვეთი და სხივია?




2. სურათზე მყოფი ფიგურებიდან რომლებია კვადრატები? მოსაზრება დაასაბუთეთ.



3. 1) გეომეტრიულ დაფაზე სხვადასხვა ფიგურები ააგეთ. დათვალეთ გვერდები და კუთხეები.




2) წითელი წერტილები გეომეტრიული ფიგურის წვეროებს უჩვენებს ამ წერტილების მიმდევრობით შეერთებით ფიგურა დახაზეთ. ამ ფიგურის გვერდების რაოდენობის შესახებ მოსაზრებები გამოთქვით.




LAYH

განმაზოგადებელი დავალებები


1. ქვემოთ მოცემული ფიგურები რვეულში ჩახაზეთ. დაწერეთ სახელები, გვერდები, კუთხეები და გვერდების რაოდენობა. აღნიშნეთ მართი კუთხეები.



2. რვეულში მახვილი და ბლაგვი კუთხეები დახაზეთ. კუთხეები მართკუთხა სამკუთხედის ფორმიანი სახაზავის დახმარებით მართ კუთხესთან შეადარეთ.



3. ქვემოთ მოცემული სამკუთხედები ჩაიხაზეთ რვეულში, თითოეული სამკუთხედის მართი კუთხე წითელი, მახვილი კუთხე ლურჯი, ბლაგვი კუთხე მწვანე ფერით აღნიშნეთ.



4. კუთხეების რაოდენობის კლებითი მიმდევრობით ქვემოთ მოცემული ფიგურები რვეულში ჩაიხაზეთ.



5. **ჯგუფური სამუშაო.**

ქვემოთ აშობს, რომ კუთხის შემქმნელი ხაზების - კუთხის გვერდების ერთმანეთთან მიახლოებისას კუთხე მცირდება. ეს მოსაზრება მართალია? განიხილეთ, დახაზეთ, უჩვენეთ.

ფრჩხილებისანი გამოსახულებები

სწავლება: ფრჩხილებისანი და უფრჩხილებო გამოსახულებებში მოქმედებები როგორი თანმიმდევრობით სრულდება?

უფრჩხილებო გამოსახულება: $30 - 14 + 7 = 16 + 7 = 23$

მოქმედებები მარცხნიდან მარჯვნივ დაწერილი თანმიმდევრობით სრულდება.

ფრჩხილებისანი გამოსახულება: $30 - (14 + 7) = 30 - 21 = 9$

ფრჩხილებისანი გამოსახულებებში ჯერ ფრჩხილებში მოცემული მოქმედება, შემდეგ კი მოქმედებები უფრჩხილებო გამოსახულებებისათვის არსებული წესით სრულდება.

1. გაიანგარიშეთ.

$$(67 - 17) + 23$$

$$48 - (16 + 24)$$

$$54 + (30 - 15)$$

$$(59 - 11) + 13$$

$$38 - (13 + 13)$$

$$(23 + 23) - 14$$

2.

სამ თეფშზე სულ 56 კვერია. პირველ თეფშზე 23 კვერია, მეორე თეფშზე ცნობილია რომ 17 კვერია. მესამე თეფშზე კვერების რაოდენობა კი ბავშვებმა სხვადასხვა ხერხებით იპოვეს.

ა) იეგანემ ამოცანის შესაბამისად ქვემოთ მოცემული გამოსახულება დაწერა. მისი ამონახსენი ახსენით.


$$56 - (23 + 17)$$

ბ) ესმერმა და ნასიბმა კი შესაბამისად ქვემოთ მოცემული გამოსახულებები დაწერეს. ეს გამოსახულებებიც ამოცანის პირობის შესაბამისად ახსენით.

$$56 - 23 - 17 \quad \text{და} \quad 56 - 17 - 23$$

3.

აიდანის სახლიდან დავუდის სახლამდე მანძილი 100 მ-ია. აიდანის სახლიდან ვასიფის სახლამდე მანძილი იპოვეთ სურათის მიხედვით.



4.

დაწერეთ მაგალითები ფრჩხილების გამოყენებით.

- 1) 38-ს გამოაკელით 12-ისა და 18-ის ჯამი ;
- 2) 64-ს გამოაკელით 34-ისა და 19-ის სხვაობა;
- 3) 65-ისა და 23-ის სხვაობას მიუმატეთ 18;
- 4) 15-ისა და 18-ის ჯამს გამოაკელით 8.

ფრჩხილებიანი გამოსახულებები

1. ფრჩხილების დახმარებით შესაკრებები ათეულებისა და ერთეულების ჯამით გამოსახეთ.

$$57 + 27 = (50 + 20) + (7 + 7) = 70 + 14 = 84$$

$$34 + 36$$

$$45 + 27$$

$$53 + 34$$

$$23 + 49$$

$$28 + 39$$

$$42 + 19$$

$$54 + 43$$

$$36 + 39$$

$$72 + 26$$

2. ფრჩხილები ისე გამოიყენეთ რომ სწორი ტოლობა მიიღოთ.

$$45 - 10 + 20 = 55$$

$$30 - 10 - 5 = 15$$

$$45 - 10 + 20 = 15$$

$$30 - 10 - 5 = 25$$

3. წერტილების ადგილას რიცხვების ჩაწერით ამოცანა დაასრულეთ და ამოხსენით. გულნარმა 48 გვერდიანი წიგნის პირველ დღეს გვერდი, მე-2 დღეს კი გვერდი წაიკითხა. წიგნის რამდენი გვერდი აქვს ჯერ კიდევ წასაკითხი გულნარს?

4.

ფრჩხილები ისე გამოიყენეთ, რომ სწორი ტოლობა მიიღოთ.

$$47 + 13 + 20 = 60 + 20$$

$$17 + 45 - 15 = 62 - 15$$

$$36 + 14 - 10 = 36 + 4$$

$$42 + 18 - 10 = 42 + 8$$

$$45 - 15 + 20 = 30 + 20$$

$$63 - 13 + 25 = 63 - 38$$

5. ავტომობილის ავზში 40 ლ ბენზინი იყო. ავტომობილმა შუადღემდე 12 ლ, შუადღის შემდეგ 9 ლ ბენზინი დახარჯა. რამდენი ლიტრი ბენზინი დარჩა ავტომობილის ავზში?

6. ქვემოთ მოცემული მაგალითების ხელსაყრელი ხერხით ამოხსნისათვის შესაკრებების ადგილი შეცვალეთ და ფრჩხილები გამოიყენეთ.

$$32 + 8 + 10 + 30 = (32 + 8) + (10 + 30) = 80$$

$$32 + 10 + 8 + 30$$

$$44 + 6 + 9 + 11$$

$$40 + 16 + 24 + 10$$

$$32 + 25 + 35 + 8$$

$$29 + 33 + 21 + 17$$

$$48 + 7 + 2 + 33$$

ამოცანის შედგენა

1. 1) $24 + 11$ გამოსახულების შესაბამისი ამოცანა შეადგინეთ.
ამოცანის პირობა ისე შეცვალეთ, რომ ამონახსენი ა) $35 - 11$, ბ) $35 - 24$ გამოსახულებების შესაბამისი იყოს.
- 2) $(16 + 9) - 4$ გამოსახულების შესაბამისი ამოცანა შეადგინეთ. ამოცანაში ჯერ შეკრების, შემდეგ გამოკლების მოქმედების მომთხოვნი აზრი ჩამოაყალიბეთ.

2. ასლანი სახლის ფანჯრიდან ქუჩაში მიმავალ მანქანებს ითვლიდა. მან 15 წუთის განმავლობაში გავლილი მანქანების რაოდენობის და ფერების ამსახველი ქვემოთ მოცემული ტელგრაფი შეადგინა. ტელგრაფის მიხედვით შეადგინეთ ამოცანები.


მანქანების რაოდენობა ფერების მიხედვით

თეთრი		21
შავი		18
ყვითელი		14

3. ცხრილის მიხედვით შეადგინეთ სხვადასხვა ამოცანები.

სპორტის სახეები	მოსწავლეთა რაოდენობა
ფეხბურთი	35
კრივი	24
ძიუდო	21
მხატვრული ტანვარჯიში	11

4. შეადგინეთ ამოცანა ქვემოთ მოცემული სქემის შესაბამისად.



ამოცანის ამოხსნა

1. დანაკლისი ინფორმაციის დამატებით ამოხსენით ამოცანა.

სკოლის ბაღში ნაძვის, ვერხვის და ალვის ხეებია. ბაღში 7 ალვის, 4 ვერხვის ხეა. სულ რამდენი ხეა ბაღში?

2. ქვემოთ მოცემული ამოცანა, კლასში მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად შეადგინეთ და ამოხსენით.

კლასში— გოგონაა, ბიჭების რაოდენობა გოგონების რაოდენობაზე —ით ნაკლებია (მეტია). _____?

3. წერტილების ადგილას მოცემული რიცხვებიდან შესაბამისის ჩაწერით ტექსტი დაასრულეთ. თითო რიცხვი ერთხელ გამოიყენეთ.

ქალბატონმა ვალიდემ მალაზიიდან . . . კგ შაქრის ფხვნილი შეიძინა.
შაქრის ფხვნილის . . . კილოგრამი შექერბურაში, მასზე ორჯერ მეტი,
ესე იგი კგ მურაბაში გამოიყენა. შაქრის ფხვნილიდან . . . კგ
ზედმეტი დარჩა.

- 1
- 6
- 10
- 3

4. *პრობლემის გადაწყვეტა:*


ნადირი და მამამისი ძაღლისათვის სადგომს აშენებდნენ. მამამ სადგომის კარების სიმაღლე თავისი მტკაველით გაზომა და ნადირს დაავალა 5 მტკაველი სიგრძის ფიცრის ნაჭრის მოჭრა. ნადირმა კი თავისი მტკაველით გაზომა. 5 მტკაველი სიგრძის ფიცარი მოჭრა. მოჭრილი ფიცრის ნაჭრის მამისთვის მიცემისას მამა ძლიერ დაეჭვდა და უკმაყოფილოდ თქვა: - ნადირ, შენ საქმე მომიმატე. თქვენი აზრით აქ რა მოხდა? თქვენ რომ იყოთ ნადირის ადგილას, ამ დავალებას როგორ შეასრულებდით?



განმაზოგადებელი დავალებები

1. რობოტის შიგთავსი გამოიკვლიეთ. ცხრილი დაასრულეთ.

ა	27	42	36		43		72	5		85
ბ	38		47	22		86			57	88



2. ამოხსენით ამოცანები.

1) ავტობუსში 25 მგზავრი იყო. გაჩერებაზე 4 მგზავრი ჩავიდა, 6 მგზავრი ამოვიდა. რამდენი მგზავრია ავტობუსში?

2) ელვინს ცხოველების სურათიანი 19 მარკა აქვს. მან აქედან 7 დას მისცა. დამ კი მას მანქანის სურათიანი 4 მარკა მისცა. რამდენი მარკა გაუხდა ელვინს?

3. ფრჩხილები ისე გამოიყენეთ, რომ სწორი ტოლობა მიიღოთ.

$$40 - 5 + 4 = 39$$

$$40 - 5 + 4 = 31$$

$$20 - 10 + 10 = 0$$


$$20 - 10 + 10 = 20$$

$$15 + 25 - 23 = 17$$

$$30 - 5 + 3 = 28$$

4. ელმირი კინოში ბილეთის შესაძენად რიგში 28-ე იყო. რამდენიმე წუთის განმავლობაში ელმირი რიგში მე-17 გახდა. ამ დროის განმავლობაში რამდენმა პირმა შეიძინა ბილეთი?

5. ულქერს 17 ფანქარი აქვს. ნაზიმის ფანქრების რაოდენობა მასზე 4-ით მეტია. ომერის ფანქრების რაოდენობა ნაზიმის ფანქრების რაოდენობაზე 6-ით ნაკლებია. რამდენი ფანქარი აქვს ომერს?



განმაზოგადებელი დავალებები

1. იპოვეთ ცარიელი უჯრედების შესაბამისი რიცხვები.

$72 + \square = 100$

$48 + \square = 100$

$66 + \square = 100$


$57 + \square = 100$

$44 + \square = 100$

$35 + \square = 100$

$86 + \square = 100$

$23 + \square = 100$



2. ელშადს 24 ფერადი ქალაღი ჰქონდა. მან, ტექნოლოგიის გაკვეთილზე 14 ფერადი ქალაღი გამოიყენა. რამდენი ფერადი ქალაღი დარჩა ელშადს? ამოცანის პირობის შეცვლით კიდევ 2 ამოცანა შეადგინეთ და ამოხსენით.

3. გულნაზი ამბობს, რომ კალთბურთის კალათში ბურთის სროლაში გულარემ მაღალი შედეგი აჩვენა. მე, 17 ქულა, შეჰვამ კი 15 ქულა მოაგროვა. გულნარეს შედეგი კი, შეჰვასა და ჩემს ერთობლივ შედეგზე 2 ქულით მეტი იყო. გულნაზის ნათქვამის მიხედვით რამდენი ქულა მოაგროვა გულნარემ?

4. გაიანგარიშეთ.

$45 + 25$

$39 - 13$

$36 + 44$

$35 + 15$

$42 - 14$

$72 + 18$

$55 + 35$

$56 - 27$

$13 + 27$

$65 + 25$

$72 - 18$

$18 + 62$

5. ცხრილის მიხედვით ამოცანები შეადგინეთ და ამოხსენით.

წრეები	სპორტი	ხატვა	დრამა
მოსწავლეთა რაოდენობა	32	23	12
სულ მოსწავლეები	67 პირი		

ამოცანებიდან ერთ-ერთი ისე შეადგინეთ, რომ ფრჩხილებიანი გამოსახულებით ამოიხსნას.

გეომეტრიული ფიგურები

კუბი, მართკუთხა პრიზმა, ცილინდრი, კონუსი, ბირთვი

სწავლება:

ფორმით ქვემოთ მოცემული ფიგურების მსგავს ნივთებს ყველგან ვხვდებით. ქვემოთ მოცემული ნივთებიდან ამ ფიგურების მსგავსი ფიგურები შეარჩიეთ.



1. ქვემოთ მოცემული წინადადებები დაასრულეთ.



- ჯამბაზის ცხვირი ფორმისაა.
- ჯამბაზის კონუსის ფორმისაა.
- ყინული ფორმისაა.
- ჭიქა ფორმისაა.
- ელექტრონული ღუმელი ფორმისაა.

2. თითოეულ მოდელში მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულებით სვეტებში კუბების რაოდენობა, მიმდევრობით თითო უჯრაში ჩაწერეთ. ეს ჩანაწერი მოდელის წყობის შესახებ შეტყობინებას იძლევა. ამგვარი ჩანაწერებით ერთმანეთს კონსტრუქციების შექმნის სავარჯიშოები მიეცით.


<table border="1" style="display: inline-table; border-collapse: collapse;"><tr><td>3</td><td>3</td><td>2</td><td>3</td></tr></table>	3	3	2	3	<table border="1" style="display: inline-table; border-collapse: collapse;"><tr><td>2</td><td></td><td></td></tr></table>	2			<table border="1" style="display: inline-table; border-collapse: collapse;"><tr><td>2</td><td>2</td><td>3</td></tr><tr><td>1</td><td></td><td></td></tr></table>	2	2	3	1			<table border="1" style="display: inline-table; border-collapse: collapse;"><tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr></table>								
3	3	2	3																					
2																								
2	2	3																						
1																								

გეომეტრიული ფიგურები

ზედაპირის ფორმები


სწავლება:

კუბის, მართკუთხა პრიზმის, ცილინდრის, კონუსის ფორმის ნივთები შეარჩიეთ. ქალაქი ზედაპირზე დავადოთ, ნაპირები ფანქრით შემოვხაზოთ, ან კიდე ფიგურები საღებავში ჩავყოთ, ამოვიღოთ და ზედაპირზე ქალაქი დავადოთ. რომელი ფიგურიდან კვადრატი, რომლიდან მართკუთხედი, რომლიდან წრე მიიღეთ? ეს სურათები შესაბამისი ფიგურების წახნაგებია.




- 1) ცარიელი ასანთის კოლოფი ქალაქზე დადეთ და ყველა ზედაპირის ფორმა გადაიღეთ. რამდენი მართკუთხედი მიიღეთ?
2) ჭიქის რამდენ სხვადასხვა მდგომარეობაში დაჭერით შეიძლება წრის დახაზვა?

2. ქვემოთ მოცემული საგნების კალმით შემოხაზული ზედაპირის ფორმის მსგავსი ფიგურა შეარჩიეთ.



3. ფიგურების აღნიშნული წახნაგები მიმდევრობით რვეულში დახაზეთ.



გეომეტრიული ფიგურები

წახნაგები, წიბოები, წვეროები

სწავლება:


1) ერთ ყუთში 3 ფანქარი, მეორეში კი მასზე 4-ჯერ მეტი ფანქარია. რამდენი ფანქარია მეორე ყუთში?

1 ჯგუფი



$$\begin{array}{c} 4 \text{ ჯერ მეტი} \\ \hline 3 \times 4 = 12 \end{array}$$

4 ჯგუფი




$$3 \times 4 = 12$$

2) ერთ თეფშზე 8 კანფეტი, მეორეზე კი მასზე 2-ჯერ ნაკლები კანფეტი იყო. რამდენი კანფეტია მეორე თეფშზე?

პირველ თეფშზე 8 კანფეტი

მეორე თეფშზე 2-ჯერ ნაკლები




$$\begin{array}{c} 2 \text{ ჯერ ნაკლები} \\ \hline 8 : 2 = 4 \end{array}$$



3) ერთ თაიგულში 10 წითელი, 5 თეთრი ყვავილია. რამდენჯერ მეტია წითელი ყვავილების რაოდენობა თეთრ ყვავილებზე?


10 ყვავილი



$$10 : 5 = 2$$

10 ყვავილი 5 ყვავილზე
2 ჯერ მეტია

5 ყვავილი



წითელი ყვავილების რაოდენობა თეთრი ყვავილების რაოდენობაზე 2-ჯერ მეტია.

1. ბაღში 15 ყვითელი, 5 წითელი ზამბახია გაშლილი. რამდენჯერ მეტია ბაღში მყოფი ყვითელი ზამბახების რაოდენობა წითელი ზამბახების რაოდენობაზე?


2. ქერიმს 18 მანეთი ფული აქვს. აზადის ფული, ქერიმის ფულზე 2-ჯერ ნაკლებია. რამდენი მანეთი ფული აქვს აზადს?

3. ექრემს ეკითხებოან: - რამდენი მანეთი გაქვს შენ?
ექრემის პასუხი: - ძმას 10 მანეთი აქვს.
მისი ფული ჩემს ფულზე 2-ჯერ ნაკლებია.
რამდენი მანეთი აქვს ექრემს?

4. ერთ რიცხვს 4-ჯერ თუ გავზრდით, 20 მიიღება. რამდენი მიიღება თუ ამ რიცხვს 3-ჯერ გავზრდით?

გამრავლებისა და გაყოფის მოქმედება

1. სურათების შესაბამისად დაწერეთ და ამოხსენით ამოცანები გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებების შესახებ. დაასახელეთ, რას გამოსახავს თითოეული მაგალითი.



$$4 \times 2 = 8$$

4 სვეტი, თითოეულში 2 წრე, სულ 8 წრე

$$2 \times 4 = 8$$




2 სტრიქონი, თითოეულში 4 წრე, სულ 8 წრე

$$8 : 2 = 4$$

8 წრე, თითოეულში 2 წრე, წრეების 4 სვეტი


$$8 : 4 = 2$$

8 წრე თითოეულში 4 წრე, წრეების 2 სტრიქონი




2. დაწერეთ შესაბამისი გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებები. ერთიც თქვენ შეადგინეთ.


$$4 \times 7 = 28$$





$$7 \times 4 = 28$$



$$28 : 7 = 4$$



$$28 : 4 = 7$$



3. იპოვეთ ფერადი უჯრების შესაბამისი რიცხვები. წარმოადგინეთ ამოხსნის ხერხი.

$$\blacksquare \times 6 = 30$$

$$24 : \blacksquare = 3$$

$$24 + \blacksquare = 48$$

$$\blacksquare \times 4 = 32$$

$$10 : \blacksquare = 5$$

$$32 + \blacksquare = 64$$

$$9 \times \blacksquare = 36$$

$$\blacksquare : 5 = 3$$

$$66 - \blacksquare = 33$$

$$5 \times \blacksquare = 40$$

$$\blacksquare : 7 = 3$$

$$88 - \blacksquare = 44$$

4. სასადილოში ყოველდღე 20 კილოგრამი კარტოფილი, მასზე 2-ჯერ ნაკლები პომიდორი გამოიყენება. რამდენი კგ. პომიდორი გამოიყენება ამ სასადილოში ერთი დღის განმავლობაში?

5. ერთი კილოგრამი ბრინჯის ფასი 2 მანეთია. 4 კგ ბრინჯის შესაძენად მყიდველმა სალაროში 10 მანეთი მისცა. რამდენი მანეთი უნდა დაუბრუნოს მოლარემ მყიდველს? რომელი ჩანაწერი არის ამოცანის სწორი ამონახსენი?

● $4 + 2 = 6$

● $2 \times 4 = 8$

● $10 : 2 = 5$

$10 - 6 = 4$

$10 - 8 = 2$

$5 + 4 = 9$

გამრავლებისა და გაყოფის მოქმედება

ინტეგრაცია

მწერების შესახებ შეტყობინება:

- მწერების ტანი 3 ნაწილისაგან შედგება თავი, მკერდი, მუცელი;
- 6 ფეხი აქვს;
- 2 საცეცი აქვს - შეგრძნებისათვის და გემოს გასაგებად.

1. ზოგიერთი ჯიშის პეპლები ნექტრით, ზოგიერთები ფოთლის ტილებით იკვებებიან. ზოგიერთი კი არაფერს არ ჭამს.

ნადირი პეპლების საცეცებს, ელნარე კი ჭიამაიას ფეხებს ითვლის. ნადირმა 18 საცეცი, ელნარემ კი 30 ფეხი დაითვალა. ნადირს რამდენი პეპელა, ელნარეს რამდენი ჭიამაია დაუთვლია?

2. ციციანთელა სიბნელეში ფრენისას სინათლეს აფრქვევს. სულ რამდენი ფეხი აქვს 5 ციციანთელას ?

3. კალისა ფეხების დახმარებით ესმის, ხმას გამოსცემს და შორს მანძილზე ხტება. კალია ყოველ ჯერზე 10 სმ მანძილს 3-ჯერ მიყოლებით თუ გადახტება, რამდენი სმ-ით წაიწევს წინ?

4. ჭიანჭველებს საკუთარ მასასთან შედარებით მრავალჯერ მეტი ტვირთის აწევა შეუძლიათ. ამიტომაც ამბობენ “ჭიანჭველა სპილოზე ძლიერია”. რამდენი გრამი იქნება 30 ჭიანჭველის წონა თუ 10 ჭიანჭველის წონა 1 გრამია?

5. ფუტკრები ყვავილიანი ადგილის მოძებნას წინ - უკან ცეკვის მოძრაობებით ერთმანეთს ატყობინებენ. თითოეული ფუტკრის სკიდან 10 კგ თაფლი თუ გამოიწურება, რამდენ კგ. თაფლს მიიღებენ 5 სკიდან ?

გამრავლებისა და გაყოფის მოქმედება

1. გამრავლებისა და გაყოფის ურთიერთდამოკიდებულების გამოყენებით იპოვეთ ის რიცხვი, რომელიც არ არის მოცემული.

$$\square \times 5 = 4$$

$$4 \times \square = 28$$

$$36 : \square = 4$$

$$32 : \square = 3$$

$$\square \times 3 = 8$$


$$5 \times \square = 40$$

$$40 : \square = 8$$

$$40 : \square = 8$$

2. ერთ ყუთში 4 სტიკერია, რვეულში შეავსეთ ყუთების რაოდენობის მიხედვით სტიკერების რაოდენობის ცვლილების მაჩვენებელი ცხრილი.

ყუთების რაოდენობა	1	2	3			
სტიკერების რაოდენობა	4	8	12			




3. ცირკში ყოველ რიგში 5 აკრობატი იდგა. რამდენი აკრობატი იდგა 6 რიგში? ამოცანის პირობა ისე შეცვალეთ, რომ მოთხოვნილ იქნას თითოეულ რიგში აკრობატების რაოდენობის მოძებნა.



4. აითენს 35 ზღაპრებისა და თქმულებების წიგნი აქვს. აითენის სახელმძღვანელოების რაოდენობა ამ წიგნების რაოდენობაზე 5-ჯერ ნაკლებია. რამდენი სახელმძღვანელო აქვს აითენს?

5. რიცხვითი ღერძი ქვემოთ მოცემული მათემატიკური გამოსახულებებიდან ორთან შესაბამისობაში მოდის. რომლებია ესენი?



● 4×10

● $10 + 10 + 10 + 10$

● $35 + 10$

6. შედარების ნიშნის სავარაუდო განსაზღვრა წინასწარ შეეცადეთ, შემდეგ კი მოქმედებების შესრულებით შეამოწმეთ.

$$28 : 4 \text{ } \textcircled{?} \text{ } 14 : 2$$

$$18 : 3 \text{ } \textcircled{?} \text{ } 18 : 2$$

$$15 : 5 \text{ } \textcircled{?} \text{ } 15 : 3$$

$$24 : 6 \text{ } \textcircled{?} \text{ } 16 : 4$$

$$21 : 7 \text{ } \textcircled{?} \text{ } 21 : 3$$

$$30 : 5 \text{ } \textcircled{?} \text{ } 30 : 6$$

გამრავლებისა და გაყოფის მოქმედება

1. შეადგინეთ ნებისმიერი რიცხვისა და მისი ორმაგის შესაბამისი გამრავლების ცხრილი. თუ თანამამრავლებიდან ერთს 2-ჯერ გავზრდით, რამდენჯერ გაიზრდება ნამრავლი?

1)

×	2	4
2	4	8
4		
3		
5		

2)

×	3	6
2	6	12
4		
3		
5		

3)

×	4	8
2	8	16
4		
3		
5		

2. ნებისმიერი რიცხვის ერთ რიცხვზე და ამ რიცხვის ორმაგზე გაყოფის შედეგად მიღებული შედეგები შეადარეთ. ამის შესახებ მოსაზრებები, მეგობრებთან და სახლში უფროსებთან განიხილეთ.

:	4	8
16	4	2
24		
32		
40		

:	3	6
12	4	2
18		
24		
30		

:	5	10
10	2	1
30		
40		
50		

ჯგუფური სამუშაო.

3. უკვე ცნობილი გამრავლების ცხრილი, უფრო დიდ რიცხვზე გამრავლების შესრულებაში გვეხმარება. მაგალითი გარკვეით. დანარჩენი მაგალითები ამოხსენით.

$$7 \times 8 = 56$$

$$3 \times 8 = 24$$

$$4 \times 8 = 32$$

$$24 + 32 = 56$$

$$7 \times 8 \text{ ნამრავლი}$$

$$1 \times 8 \text{ და } 6 \times 8$$

$$2 \times 8 \text{ და } 5 \times 8$$

$$3 \times 8 \text{ და } 4 \times 8$$

7 x 8 ნამრავლი 3 x 8 და 4 x 8
ნამრავლების ჯამი ტოლია

ნამრავლების ჯამით
გამოსახვა შეიძლება

$$8 \times 7$$

$$7 \times 7$$

$$9 \times 7$$

$$6 \times 6$$

$$8 \times 6$$

$$9 \times 6$$

$$9 \times 9$$

$$6 \times 7$$

ამოცანის ამოხსნა


1. ამოცანის გეგმა რვეულში გადაიტანეთ და ამოხსნა დაასრულეთ.

რიგების რაოდენობა:


ვაშლების რაოდენობა: x

მსხლების რაოდენობა: x

თითოეულ მწკრივში
ხილის რაოდენობა: x



2. სურათზე მოცემულების გამოყენებით ამოხსენით ამოცანები.
ყუთი გათვალისწინებულია არაუმეტეს 30 კგ მასაზე.



- ა) ულქერმა ბარდის პარკი ყუთში ჩადო. ამ ყუთში კიდევ რომელი პარკის ჩადება შეიძლება?
-
- ბ) ნაილემ ყუთში 18 კგ-იანი და 20 კგ-იანი პარკები მოათავსა. რომელი სურსათი ჩაალაგა მან ყუთში? ნაილემ ყუთში გათვალისწინებულზე რამდენით მეტი სურსათი ჩაალაგა?
-
- გ) ფიდანმა ჯერ ყუთში შაქრისა და შაქრის ფხვნილის პარკები ჩააწყო. შემდეგ შაქრის ფხვნილი ამოიღო ბარდის პარკი ჩადო. ფიდანმა პარკები პირველად სწორად მოათავსა თუ შემდეგ? რით ახსნით ფიდანის მოსაზრების შეცვლას?

გამრავლებისა და გაყოფის მოქმედება

1. მოცემული თითოეული რიცხვი, ორი ისეთი შესაკრების ჯამის სახით ჩაწერეთ, რომ შესაკრებებიდან ერთ-ერთი 5-ზე გაიყოს.


27, 16, 37, 33, 41, 52,

მაგალითად:

$$\begin{array}{r} 27 = 25 + 2 \\ \hline 27 = 5 \times 5 + 2 \end{array}$$

2. იპოვეთ სკამების რიცხვი:

ა) სკამები სამ რიგად თითოეულში 4 ცალი დააწყვეს, 3 სკამი ზედმეტი დარჩა.



ბ) სკამები ორ რიგად თითოეულში 5 ცალი დააწყვეს და 2 სკამი ზედმეტი დარჩა.



3. გაიანგარიშეთ. შეადარეთ.

$85 \bigcirc 58$

$7 \times 9 \bigcirc 65$

$32 : 8 \bigcirc 32 : 4$

$35 + 15 \bigcirc 5 \times 8$

$37 + 31 \bigcirc 55 + 23$

$28 : 7 \bigcirc 18 : 6$

$5 \times 6 \bigcirc 3 \times 10$

$27 + 16 \bigcirc 40 - 8$

4. ერთი კლასის მოსწავლეები სპორტის გაკვეთილზე 5 მწკრივად, თითოეულში 4 მოსწავლით მოეწყვნენ. რამდენი მოსწავლეა ამ კლასში? ამოცანის შესაბამისი სურათი დახატეთ.



თვითშეფასება

1. გაიანგარიშეთ და პასუხები გამრავლების მოქმედების დახმარებით შეამოწმეთ.

$20 : 2$

$12 : 2$

$4 : 2$

$36 : 9$

$45 : 5$

$40 : 4$

$10 : 5$

$35 : 5$

$50 : 5$

$32 : 8$

$9 : 3$

$27 : 3$

2. 1) ყუთში 15 რძიანი, მასზე 3-ჯერ ნაკლები კაკლიანი შოკოლადია. რამდენი კაკლიანი შოკოლადია ყუთში?




2) ყუთში 4 ხილიანი, მასზე 3-ჯერ მეტი რძიანი შოკოლადია. სულ რამდენი შოკოლადია ყუთში?

3. ფერიდს 20 მარკა აქვს. მას თავისთვის და 3 მეგობარს შორის მარკების თანაბრად განაწილება უნდა.

ა) რამდენი მარკა შეხვდება ფერიდის თითოეულ მეგობარს?

ბ) ამოცანის პირობა ისე შეცვალეთ, რომ ამოცანა 4×5 ნამრავლის გაანგარიშებით ამოიხსნას.

4. სურათის შესაბამისად დაწერეთ გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებები.



5. წინადადებებში წერტილების ადგილის შესაბამისი სიტყვები შეარჩიეთ.

ნამრავლი

გაყოფა

გამრავლების

გასაყოფი

1) $4 + 4 + 4 + 4$ მოქმედება . . . მოქმედებით შეიძლება შეიცვალოს.

2) 5×10 მაგალითში . . . 50-ის ტოლია.

3) $50 : 5$ მაგალითში . . . 50-ის ტოლია.

4) $16 - 4 - 4 - 4 - 4 = 0$ ჩანაწერში . . .

მოქმედებით შეიძლება შეიცვალოს. $\square : \square = \square$

მე - 6 განყოფილება

- კალენდარი
- ინფორმაცია გარკვევით, წარმოადგინეთ
- გაიაზრეთ, აზრი გამოთქვით
- სიმეტრია
- შეაერთეთ, გამოაცალკავეთ, ახალი შექმნით

იანვარი						
ორშ	ს.შ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31



წელიწადი, თვე, კვირა, დღე, საათი

სწავლება:


- რომელი ხანგრძლივობა უფრო მეტია?
- 2 კვირა, თუ 15 დღე?
- 1 დღე, თუ 22 საათი?
- 1 წელიწადი, თუ 11 თვე?
- 1 თვე, თუ 24 დღე

1 წელიწადი = 12 თვე
1 თვე = 30, 31 დღე (28, 29)
1 კვირა = 7 დღე
1 დღე = 24 საათი

- 15 დეკემბრიდან 21-მდე (21-ის ჩათვლით) დღეები დათვალეთ. ერთი კვირა შესრულდა?
- აპრილის თვეში 4 შაბათ დღეს და 4 კვირა დღეს გაკვეთილები არ არის. რამდენ დღეს არის გაკვეთილები აპრილის თვეში?
- 25 ოქტომბერს სევინჯის დაბადების დღეა. ორი კვირის შემდეგ ელნურის დაბადების დღე იქნება. თვის რომელ რიცხვშია ელნურის დაბადების დღე?
- ძია ნადირმა სახლის რემონტი 1 აპრილს დაიწყო. რემონტი 2 თვე გაგრძელდა.
1) რომელ თვეში დამთავრდა რემონტი? 2) რამდენ დღეს გაგრძელდა რემონტი?
- რაჰიმის მამამ 1 კვირაში სახლის კედლები შეღებვა დაამთავრა. რაჰიმმა კი ძაღლის გაწრთვნას 10 დღე დაუთმო. ამ საქმეებიდან რომელს დაეთმო მეტი დრო?


- 1) ერთი დღის განმავლობაში სკოლაში ყოფნის ხანგრძლივობას ქვემოთ მოცემული დროის საზომებიდან რომლით გამოსახავთ?

საათი წუთი კვირა




- 2) ზაფხულის არდადეგების ხანგრძლივობას ქვემოთ მოცემული დროის საზომებიდან რომლით გამოსახავთ?

საათი თვე წელი



ინფორმცია გარკვეით, წარმოადგინეთ

1. ქვემოთ მოცემული პიქტოგრამა უჩვენებს 3 სამშენებლო კომპანიის აშენებული საცხოვრებელი სახლების რაოდენობას.




პიქტოგრამის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

- 1) რამდენი კომპანიის აშენებული საცხოვრებელი სახლების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას პიქტოგრამა?
- 2) რომელმა კომპანიამ ააშენა ყველაზე მეტი საცხოვრებელი სახლი?
- 3) რომელმა კომპანიამ ააშენა ნაკლები საცხოვრებელი სახლი?
- 4) რამდენით მეტია კომპანია "მტირალა ტირიფი" აშენებული სახლების რაოდენობა, "მხიარული ცხოვრების" კომპანიის აშენებულ სახლებთან შედარებით?
- 5) კიდევ რამდენი სახლი უნდა ააშენოს "მტირალა ტირიფმა", რომ "ჩემი ლამაზი სახლი" კომპანიის აშენებული სახლების რაოდენობას გაუტოლდეს?
- 6) პიქტოგრამის ინფორმაციის გამოყენებით ერთი პატარა მოთხრობა დაწერეთ.

2. ფერეჯმა სპორტის მასწავლებელს სთხოვა, მორიგ გაკვეთილზე კლასებში ყველაზე საყვარელი თამაში ჩაატარონ. ფერეჯის კლასში ყველა ბავშვის მონაწილეობის გამოკითხვის შედეგები ქვემოთ ცხრილშია მოცემული. ამ ცხრილის მიხედვით, მათ რომელი თამაში უფრო უყვართ?





ცხრილის მიხედვით შეადგინეთ პიქტოგრამა.

 = 2 ბავშვი




თამაშის სახელი	ბავშვების რაოდენობა
დაჭერობანა	4
დამალობანა	6
დიღდიღილო	16

ინფორმცია გაარკვიეთ, წარმოადგინეთ

1. ქვემოთ ტელგრაფში ნაჩვენებია პარკში მოთამაშე ბავშვების რაოდენობა. ინფორმაცია გაარკვიეთ, წარმოადგინეთ და რვეულში ბარგრაფის სახით უჩვენეთ.

მოედანზე მყოფი ბავშვები			
სათამაშო ადგილები	საქანელა		
	სასრიאלო		
	ქვიშიანი		
	კიბე		
			ბავშვების რაოდენობა

2. ნარგიზი და ელმარი ფანჯრის წინ იდგნენ და 10 წუთის განმავლობაში ითვლიდნენ ქუჩაში გავლილ მანქანებს ფერის მიხედვით. ამისათვის საუკეთესო ხერხი, ყოველი მანქანის გავლისას შესაბამისი ფერის წინ ერთი ხაზის გასმაა. ნარგიზმაც ეს ხერხი გამოიყენა და ქვემოთ მოცემული ტელგრაფი მიიღო.

ნარგიზის დათვლილი მანქანები			
თეთრი			10
შავი			9
დანარჩენი ყველა ფერი			13

ელმარის შექმნილ ტელგრაფში კი:


- თეთრი მანქანების რაოდენობა 4 ცალით მეტია;
 - შავი მანქანების რაოდენობა 2-ით ნაკლებია;
 - ყველა დანარჩენი ფერის მანქანები 5-ით მეტია.
- ამ შედარების შესაბამისი ტელგრაფი თქვენ შექმენით.

ინფორმცია გაარკვიეთ, წარმოადგინეთ

ვენის დიაგრამა.

სწავლება:


ქვედა დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია, ბავშვების მიერ კატების და ძაღლების შენახვის შესახებ. ლურჯ წრეში ვისაც ძაღლები ჰყავს, წითელ წრეში ვისაც კატა ჰყავს, წრეების გადაკვეთაში კი თან ძაღლი და თან კატაც ვისაც ჰყავს მათი სახელები სწერია. ასეთ დიაგრამებს ვენის დიაგრამები ეწოდება.



ქვემოთ მოცემული ინფორმაციის მიხედვით ბავშვების სახელები შესაბამის წრეებში მოათავსეთ.


ნადირს ძაღლი ჰყავს. ესლის კატა ჰყავს.
აზადს თან ძაღლი, თანაც კატა ჰყავს.

1. ვენის დიაგრამაში მოცემული ინფორმაცია გაარკვიეთ, შეადარეთ და წარმოადგინეთ.



2. 10-დან 30-მდე რიცხვები 3-ზე და 4-ზე გაყოფადობის მიხედვით ვენის დიაგრამით წარმოადგინეთ.

ინფორმაცია გარკვეით, წარმოადგინეთ



მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ახალი ინფორმაცია წარმოადგინეთ.

ზღვის სანაპიროს ბულვარზე სხვადასხვა გემებზე გასეირნების ვადები და ბილეთების ფასი ქვევითაა ნაჩვენები. მოცემული ინფორმაციის მიხედვით შეასრულეთ სავარჯიშოები.



"ცისფერი კასპი"



"ზღვის გველეშაპი"



"ზღვის ლამაზი"

გასეირნების ხანგრძლივობა
60 წუთი.
ერთი ბილეთის ფასი
ბავშვებისათვის -
1 მანეთი,
დიდებისათვის -
2 მანეთი .

გასეირნების ხანგრძლივობა
30 წუთი
ერთი ბილეთის ფასი
ბავშვებისათვის -
50 კაპიკი,
დიდებისათვის -
1 მანეთი.

გასეირნების ხანგრძლივობა
45 წუთი.
ერთი ბილეთის ფასი
ბავშვებისათვის -
1 მანეთი
დიდებისათვის -
2 მანეთი.

- 1) ესედი და მეგობრები 11:30-ზე გემით "ცისფერი კასპი" სასეირნოდ გაემგზავრნენ. რომელ საათზე დაბრუნდებიან ისინი ნაპირზე?
- 2) ქემალემ გემზე "ზღვის ლამაზი" ბილეთის შეძენას და სეირნობას სულ 1 საათი დრო დაუთმო. რამდენი წუთი იდგა ქემალე ბილეთის შესაძენად რიგში?
- 3) გემით "ზღვის ლამაზი" 2-ჯერ სეირნობისათვის დათმობილი დრო საათობით და წუთობით გამოსახეთ.
- 4) გემზე "ზღვის გველეშაპი" 4 ბავშვისა და 2 დიდისათვის ბილეთებში რამდენი მანეთი ფულია საჭირო?
- 5) გემით "ცისფერი კასპი" გასეირნებისათვის, ბავშვებისათვის 30, დიდებისათვის 10 ბილეთი გაიყიდა. რამდენ მანეთს შეადგენს ამ ბილეთების საერთო ფასი?

ინფორმცია გარკვეით, წარმოადგინეთ

1. რეჰიმმა ველოსიპედის შესაძენად ფული შეაგროვა. ველოსიპედის ფასი 56 მანეთია. რეჰიმი ყოველ თვე შეგროვილი ფულის რაოდენობას სურათზე მოცემულივით აღნიშნავდა. ყოველი დანაყოფი 1 მანეთს უჩვენებს. გარკვეით რეჰიმის მიერ ყოველ თვე შეგროვილი ფული და ისინი თვეების მიხედვით შეადარეთ. სულ რამდენი მანეთი ფული შეუგროვებია რეჰიმს? რეჰიმს ველოსიპედის შესაძენად ფული ჰყოფნის?



2. ერთი თვის განმავლობაში საქონლის ფასებში 2-ჯერ გაიაფება მოხდა. ცხრილის მიხედვით გაიანგარიშეთ თითოეული საგნის საბოლოო გასაყიდი ფასი.

საგნები	საწყისი ფასი (მანეთობით)	1-ლი გაიაფება (მანეთობით)	მე-2 გაიაფება (მანეთობით)	საბოლოო ფასი (მანეთობით)
	35	6	8	21
	90	15	15	?
	17	2	1	?
	23	4	0	?

- რომელი საგნის ფასი გაიაფდა ყველაზე მეტად?
- რომელი საგნის ფასი არ შეიცვალა მე-2 გაიაფებისას?
- რამდენი მანეთი უნდა გადაიხადოთ, თუ შეიძენთ სპორტულ ტანსაცმელს და ჩაიდანს?
- საძინებელი კომპლექტი ძალიან გაიაფდა, თუ უმნიშვნელოდ?
- ბოლო გაიაფებისას ერთი სპორტული ქურთუკის და ერთი ჩაინიკის მყიდველი რამდენ მანეთ ფულს დაზოგავს?

გაიაზრეთ, აზრი გამოთქვით

სწავლება:

ჩვენ მოვლენების მოხდენის შესახებ: *რა თქმა უნდა*, *ალბათ*, *შესაძლებელია*, *შეუძლებელია*, *შეიძლება*, *არ შეიძლება* გამოთქმების დახმარებით აზრს გამოვთქვამთ. მაგალითად, ერთ პარკში 10 წითელი 2 ცისფერი კუბია. პარკში ჩაუხედავად ერთი კუბი რომ ამოვიღოთ, ამ კუბის წითელ ფერზე ყოფნის შანსი ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან რომლის გამოყენებით უფრო სწორი იქნება?


რა თქმა უნდა

შანსი მაღალია

შესაძლებელია

გამოთქმული მოსაზრება ქვემოთ მოცემულ გამოცდილებასთან შეამოწმეთ.


ფერი	ხაზი	ჯამი
წითელი		
ცისფერი		




1. ცისფერი და წითელი კუბები პარკში მოათავსეთ.
2. პარკიდან 1 კუბი ამოიღეთ.
3. კუბი ფერის მიხედვით ცხრილში ერთი ხაზით აღნიშნეთ.
4. კუბი ხელახლა პარკში დააბრუნეთ.
5. ეს მოძრაობა მთლიანობაში 10-ჯერ გაიმეორეთ.

1. ქვემოთ მოცემულ სურათზე პარკში ჩაუხედავად ერთი ფიგურა ამოიღეთ. მისი წრე ყოფნის შანსის შესახებ სხვადასხვა აზრები იყო ცნობილი. თქვენ ამ პარკებიდან “კვადრატი ამოვა!” მოსაზრების მიხედვით, შესაბამისი გამოთქმები გამოიყენეთ.

რა თქმა უნდა!



წრე ამოვა!
შანსი მაღალია!



შესაძლებელია!



2. ისრის რომელ ნაწილში გაჩერების შანსი უფრო მეტია?



წითელი
ყვითელი




წითელი
ყვითელი



წითელი
ყვითელი
ლურჯი

დაფიქრდით, აზრი გამოთქვით

1. “იღბლიანი ბორბალის” დაფაზე ისრის მოცემულ ნაწილში გაჩერების შესაძლებლობის შესახებ მოსაზრებებიდან ერთის შერჩევით მოსაზრება გამოთქვით:
შესაძლებელია, შეუძლებელია, ალბათ, აუცილებლად, ტოლშანსიანია.



- 1) ღერძის 4-ზე ნაკლები რიცხვის შესაბამის ნაწილზე გაჩერება.
- 2) ღერძის 10-ზე მეტი რიცხვის შესაბამის ნაწილზე გაჩერება.
- 3) ღერძის წყვილ (ან კენტ) რიცხვების ნაწილზე გაჩერება.
- 4) ღერძის 3-ჯერ ზედიზედ ერთსა და იმავე რიცხვზე შესაბამის ნაწილზე გაჩერება.
- 5) ღერძის 9-ზე ნაკლები რიცხვის შესაბამის ნაწილზე გაჩერება.

2. ხუმარმა პარკში ჩაუხედავად, ყოველ ჯერზე თითო ფიგურა ამოიღო. შედეგი ცხრილში აღნიშნა და ფიგურა ხელახლა პარკში დააბრუნა. ხუმარმა ეს მოძრაობა 30-ჯერ გაიმეორა. ცხრილის მონაცემების მიხედვით თქვენ შეგიძლიათ მოიფიქროთ, რომელი პარკით ატარებდა ხუმარი ამ ცდას?

წრე	სამკუთხედი	კვადრატი
18	9	3



3. **წყვილებში სამუშაო**

საჭიროა: ერთი ან ორი კამათელი, ერთი სუფთა ფურცელი.

პირობა: თითოეული მოთამაშე თავის ქულას ირჩევს (1-6)

თამაშის მსვლელობა: თამაში 3 წრედ ტარდება, თითოეულ წრეში კამათელი 10-ჯერ გორდება. მოთამაშეები თავ-თავიანთ ფურცელზე ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილს ხაზავენ, კამათელს აგორებენ და მოსული ქულების შესაბამისად ერთ ხაზს უსვამენ.

თითოეული მოთამაშის 10-ჯერ სროლის შემდეგ მორიგი წრის თამაში იწყება. 3 წრის შედეგების მიხედვით, თამაშის გამარჯვებული ცხადდება.

ქულები	წრე 1	წრე 2	წრე 3
1			
2			
3			
4			
5			
6			

განმაზოგადებელი დავალებები

1. როგორი შეიძლება იყოს ქვემოთ მოცემული შეკითხვების პასუხები?
- 1) რენას მასწავლებელი 4 წლისაა, თუ 40 -ის ?
 - 2) სკოლის შენობას 2 ფანჯარა აქვს, თუ 20 ?
 - 3) მე-2 კლასებში 60 მოსწავლეა, თუ 6 ?
 - 4) სუსენს ერთ ხელში 7 კალამის დაჭერა შეუძლია თუ 70 ?

2. სამი ბავშვის მასა ერთად 93 კგ-ია. ერთის წონა მეორეზე 3 კგ-ით მეტია. ქვემოთ მოცემული პასუხებიდან რომელი უჩვენებს ბავშვების წონას სწორად?

29 30 33

28 31 34


29 32 35

3. 1) ჰუმაის 45 მანეთი აქვს. ეს ზერიფს ფულზე 21 მანეთით მეტია. რამდენი მანეთი ფული აქვს ზერიფს?
- 2) თოდრულს 8 მანეთი აქვს. ფერეჯის ფული, თოდრულის ფულზე 4-ჯერ ნაკლებია. რამდენი მანეთი ფული აქვს ფერეჯს?

4. ორი ერთი და იმავე წიგნის ერთმანეთზე დადებისას სიმაღლე 10 სმ მიიღება. რამდენი სანტიმეტრია თითოეული წიგნის სისქე?

5. ქვემოთ მოცემული ცხრილი ზოგიერთი ცხოველის საშუალო ასაკს გვიჩვენებს. ცხრილის საფუძველზე ბარგრაფი რვეულში დაასრულეთ. ინფორმაცია გარკვეით და შედარებებით წარმოადგინეთ.


ცხოველები	წლოვანება
ირემი	8
ჟირაფი	10
ძაღვი	12
კატა	12




შეარჩიეთ, დააჯგუფეთ

1. გეომეტრიული ფიგურები 4 ჯგუფადაა დაყოფილი. გაარკვიეთ გეომეტრიული ფიგურების დაჯგუფების წესი. გაარკვიეთ მოცემული გეომეტრიული ფიგურებიდან თითოეული რომელ ჯგუფს მიეკუთვნება.


2. 1) ვენის დიაგრამაში ფიგურები რომელი წესითაა დაჯგუფებული?





ქვემოთ მოცემული გეომეტრიული ფიგურებიდან რომელი ეკუთვნის ორივე ჯგუფს?



3. ფიგურები რომელი წესითაა დალაგებული? იპოვეთ წესის დამრღვევი ფიგურა.



4. თითოეულ ჯგუფში არის ერთი ფიგურა, რომელიც ამ ჯგუფს არ მიეკუთვნება. გამოარკვიეთ ეს ფიგურა.



სიმეტრია

სწავლება:

სიმეტრიის ღერძის გასწვრივ ფიგურის გადაკეცვისას ფიგურის ორივე ნაწილი სრულად დაემთხვევა ერთმანეთს.


ერთ ფიგურას შეიძლება რამოდენიმე სიმეტრიის ღერძი ჰქონდეს. ქვემოთ მოცემული ფიგურებიდან თითოეულს რამოდენიმე სიმეტრიის ღერძი აქვს.




1. რვეულში დახატეთ სიმეტრიული სურათები.



2. ერთი ფურცელი ქაღალდი შუაზე გადაკეცოთ. სურათზე ნაჩვენები წესით, გადაკეცვის ხაზის გარედან დაწყებით თქვენთვის სასურველი სურათი დახატეთ. სურათი ნაპირების გასწვრივ მაკრატლით ამოჭერთ და ამოიღეთ. ამოჭრილ, ამოღებულ ნაწილზე მიღებული სურათის სიმეტრიულობის შესახებ გამოთქვით მოსაზრებები.



3. ქვემოთ მოცემული ფიგურები ქაღალდისგან გამოჭერთ, გაამზადეთ. ფიგურები ისე გადაკეცეთ, რომ წითელი ფერით აღნიშნული წვეროები ერთმანეთს დაემთხვეს. რომელი ფიგურები ორივე შემთხვევაში სიმეტრიული აღმოჩნდა?




4. <http://www.origami-make.com/howto-origami-easy.php> ინტერნეტ მისამართიდან ქაღალდის გადაკეცვის გზით სხვადასხვა ფიგურების გამზადების გზები ისწავლეთ. საიტის გამოყენებაში დახმარება სკოლაში ინგლისურის მასწავლებელს, სახლში უფროსებს სთხოვეთ. ესენი ერთმანეთს ასწავლეთ.





შეერთეთ, გამოაცალკავეთ, ახალი შექმენით



1. **ჯგუფური სამუშაო.** “ა” სვეტის ფიგურები ქალღმერთისგან ამოჭერით დაამზადეთ. გამზადებული ფიგურების ხელახალი დაჭრით ან დაწებებით მიიღეთ “ბ” სვეტში მყოფი ფიგურები.




2. ფიგურები რვეულში დახაზეთ. გვერდები სურათში ნაჩვენების მსგავსად, თანატოლ ნაწილებად დაყავით და დანომრეთ. ერთი და იგივე ნომრიანი დანაყოფი წერტილები ხაზებით შეერთეთ. მიღებული ნაწილები გააფერადეთ.



3. ფიგურები რვეულში დახაზეთ. ეს ფიგურები უფრო წვრილ სამკუთხედებად დაყავით, გაფერადებით ორნამენტები შექმენით. კლასში გამოფენა მოაწყვეთ.



4. სინათლის ბოძები ერთმანეთისგან თანაბარ მანძილზე მდებარეობენ. ორ სინათლის ბოძს შორის მანძილი 20 მ-ია. რამდენი მეტრია მანძილი 1-ელ და მე-4 ბოძს შორის?



ამოცანის ამოხსნა

1. სამირს 28 მანეთი ფული, ელგუნს კი მასზე 17 მანეთით მეტი ფული აქვს. რამდენი მანეთი ფული აქვთ სამირს და ელგუნს ერთად?

2. ამოცანა ცხრილის რვეულში დასრულებით ამოხსენით.
ნასიბს უნდა შეიძინოს ველოსიპედი, რომლის ფასი 42 მანეთია. ამჟამად მას 27 მანეთი ფული აქვს. თუ ნასიბი ყოველკვირეულად 3 მანეთის ეკონომიას გააკეთებს, რამდენ კვირაში შეძლებს ველოსიპედის შესაძენად ფულის შეგროვებას?




კვირები	0	1	2	3	4	5	6
ფული (ლ)	27	30					

3. გასართობ ცენტრში 1 საათი თამაშისათვის 4 პირზე 16 მანეთი იქნა გადახდილი. ამ თამაშის 2 საათისთვის 1 პირმა რამდენი მანეთი უნდა გადაიხადოს?

4. იპოვეთ ფერადი უჯრების შესაბამისი რიცხვები

$$\begin{array}{cccc} \square : 3 = 7 & 24 : \square = 7 & 64 - \square = 3 & 87 - \square = 60 \\ \square : 5 = 6 & 36 : \square = 9 & \square - 99 = 1 & \square - 57 = 13 \end{array}$$

5. გუნელმა თითოეულ პარკში 8 ცალობით 40 ბურთულა პარკებში მოათავსა. რომელი სურათი სწორად ასახავს ამას? დაწერეთ თითოეული სურათის შესაბამისად 2 გამრავლების, 2 გაყოფის მოქმედება.



ამოცანის ამოხსნა

1. ნიჰადს უნდა ჩატარებული გამოკითხვის შედეგები პიქტოგრამით წარმოადგინოს.

მას პიქტოგრამის 1  = 3 პირის აღნიშვნის გამოყენებით აგება სურს.

1) ნიჰადმა “წავალ” პასუხის შესაბამისად რამდენი  უნდა დახატოს?

2) ამ პირობებით ნიჰადის პიქტოგრამაში სულ რამდენი  სურათი უნდა დაიხატოს?

ვის უნდა კვირის ბოლოს მუზეუმში წასვლა?	
პასუხები	მოსწავლეთა რაოდენობა
წავალ	5
ვფიქრობ რომ წავალ	9
არ წავალ	6

2. ახალი ბინის აშენებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე დაფაზე შემდეგი წარწერაა :
“თითოეული მოჭრილი ხის ადგილას 7 ხე დაირგვება”

1) ამ ბინის აშენებისათვის თუ 5 ხეა მოჭრილი. რამდენი ხე უნდა დარგონ მათ?

2) თუ მშენებარე კომპანიამ 28 ხე უნდა დარგოს, რამდენი ხე მოუჭრიათ მათ?

3. ერთი წიგნის ფასის მოძებნით, საჭირო რაოდენობის საგნის ფასის გაანგარიშება შეიძლება. ამოხსენით ამოცანები :

1) სამირმა 5 კონვერტში 40 კაპიკი გადაიხადა. თუ თქვენ 4 კონვერტს იყიდით, რამდენ კაპიკს გადაიხდით?

2) 4 ფანქრის ფასი 36 კაპიკია. რამდენი კაპიკი გექნებათ გადასახდელი 3 ფანქარი რომ იყიდოთ ?

4. 5 სტიკერიანი 1 ყუთის ფასი 25 კაპიკია. 4 სტიკერიანი 1 ყუთის ფასი კი 24 კაპიკია. რომელი სტიკერის შეძენა არის უფრო ხელსაყრელი?

5. რომელ შემთხვევაში 1 კგ-ის ფასი შეცდომითაა გაანგარიშებული ?

5 კგ ვაშლი 10 ₾
1 კგ ვაშლი 2 ₾

3 კგ შაქარი 6 ₾
1 კგ შაქარი 3 ₾

5 კგ მსხალი 15 ₾
1 კგ მსხალი 3 ₾

ლოგიკურად ვხსნი

1. მე რამდენი ვარ?

ა) მე ათეულების თანრიგი 7-ის მქონე ლუწი რიცხვი ვარ. 0-დან დაწყებული ათ-ათობით დათვლისას ჩამონათვალ რიცხვებს შორის არ ვარ. 73-ზე ნაკლები ვარ. მე რამდენი ვარ?

ბ) ორ-ორად დათვლისას ჩემს სახელს ასახელებთ. 96-ზე მეტი 100-ზე ნაკლები ვარ. მე რამდენი ვარ?

გ) მე ერთეულების თანრიგი 3-ის მქონე ორნიშნა რიცხვი ვარ. 65-ზე ნაკლები, 53-ზე მეტი ვარ. რამდენი ვარ მე?



2. ფერი დეიდას ეზოში ერთი ბატკანი და რამოდენიმე ქათამია. მათი ფეხების რაოდენობა 10-ია. რამდენი ქათამია ეზოში?



3. ქემალემ დაბადების დღეზე 15 მეგობარი დაპატიჟა. გასულ წელს სტუმრების რაოდენობა ამაზე რამოდენიმეთი მეტი იყო. ქემალეს გასული წლის სტუმრების რაოდენობა ქვემოთ მოცემული პასუხებიდან შეარჩიეთ.



15

19

40

4. საბირს რომ შეეკითხებიან რამდენი და-ძმა ჰყავს, ის ასე პასუხობს:

- ჩვენს ოჯახში ბიჭებისა და გოგოების რაოდენობა ტოლია, თითოეულ დას 3 ძმა ჰყავს. რამდენი და და რამდენი ძმა ჰყავს საბირს?

განმაზოგადებელი დავალებები

1. ნერმინს 35 მანეთი ფული ჰქონდა. დღეს მამამ 18 მანეთიც მისცა. ნერმინმა 12 მანეთი დახარჯა. რამდენი მანეთი ფული დარჩა ნერმინს?

2. გამრავლების ცხრილის ზედაპირზე მყოფი ყველა 12 რიცხვი იზოვეთ. ცხრილის გამოყენებით 12-ის შესაძლო გამყოფები და შესაბამისი განაყოფები იზოვეთ. განმარტეთ გამრავლების ცხრილის გამოყენება გაყოფის მოქმედების შესრულებისას რატომ არის ხელსაყრელი.

X	1	2	3	4	5	6	7	8
	1	2	3	4	5	6	7	8
	2	4	6	8	10	12	14	16
	3	6	9	12	15	18	21	24
	4	8	12	16	20	24	30	34
	5	10	15	20	25	30	35	40
	6	12	18	24	30	36	40	46
	7	14	21	28	35	42	49	56
	8	16	24	32	40	48	56	64

3. ფრჩხილები ისე გამოიყენეთ, რომ სწორი ტოლობა იქნას მიღებული.

$$62 - 17 + 32 = 13$$

$$43 - 31 + 10 = 22$$

$$36 - 24 + 11 = 1$$

$$55 - 18 - 6 = 31$$



$$73 - 32 - 16 = 57$$

$$50 - 23 - 16 = 43$$

4. ლალემ კლასის მოსართავად ფერადი ქაღალდებისაგან 27 სამკუთხედი და 42 კვადრეტი გამოჭრა. მას თითოეული ფიგურის 60 ცალი უნდა მოეჭრა.

- 1) თითოეული ფიგურის რამდენი ცალი აქვს მოსაჭრელი ლალეს?
- 2) სულ რამდენი ფიგურა აქვს მოსაჭრელი ლალეს?

5. თითოეულ ფიგურაში რამდენი წითელი და რამდენი თეთრი ფერის ტოლზომიანი კვადრატია? კვადრატები დალაგების წესის გამოყენებით დათვალეთ.



განმაზოგადებელი დავალებები

1. მოსწავლეებმა სკოლაში მოხუცებისა და ბავშვთა სახლებისათვის დახმარების კამპანია ჩაატარეს. ორგანიზებულ გამოფენა - გაყიდვაზე მოსწავლეების ხელნაკეთები, ნახატები, მასწავლებლებმა და მშობლებმა შეიძინეს. გამოფენა - გაყიდვის პირველ დღის შესახებ ინფორმაცია ცხრილში მოათავსეს და სკოლის ფოიეში ჩამოკიდეს:

ექსპონატები	რაოდენობა	მიღებული თანხა (მანეთობით)
ნატურმორტი	10	35
პეიზაჟი	7	37
პორტრეტი	12	23
ნაქსოვი	11	27
ნაკეთობა	9	21

- სულ რამდენი ნახატი გაყიდეს მოსწავლეებმა?
- რამდენი ხელგარჯილობის ნამუშევარი გაიყიდა?
- რამდენი მანეთია ხელგარჯილობიდან შემოსავალი?
- ცხრილის მიხედვით ორი შეკითხვა მოიფიქრეთ და კლასში წარმოადგინეთ.
- მიღებული შემოსავალის ცხრილში მოცემული რიცხვები უახლოეს ათეულამდე შეავსეთ, მიახლოებით გაიანგარიშეთ.

2. ბორბლის წითელ ნაწილზე გაჩერების ალბათობა ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან რომლით რომ გამოხატოთ, უფრო სწორი იქნება?



აუცილებლად
შანსი მაღალია
შეუძლებელია



რა თქმა უნდა
შესაძლებელია
შეუძლებელია



შესაძლებელია
შეუძლებელია
ალბათ


განმაზოგადებელი დავალებები

1. ქვემოთ მოცემული ცხრილი 1 ავტომობილის მიერ 5 სამუშაო დღის განმავლობაში მოხმარებული საწვავის რაოდენობას გვიჩვენებს.

- 1) რომელ დღეს მოიხმარეს ყველაზე მეტი საწვავი?
- 2) რამდენი ლიტრი საწვავი მოიხმარეს ორშაბათსა და პარასკევს ერთად?
- 3) სულ რამდენი ლიტრი საწვავი მოიხმარეს 5 დღის განმავლობაში?
- 4) შეადარეთ ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები საწვავის გამოყენების დღეების მაჩვენებლები.

კვირის დღეები	საწვავი (ლ)
ორშაბათი	21
სამშაბათი	19
ოთხშაბათი	17
ხუთშაბათი	16
პარასკევი	24

2. 1 კალმისა და 2 საშლელის ღირებულება 40 კაპიკია. თუ 1 კალმისა და 1 საშლელის ფასი 35 კაპიკია, მაშინ რა ღირს 1 კალამი და 1 საშლელი ცალკე-ცალკე?



3. ახსენით ამოცანის მსგავსი და განსხვავებული თვისებები. მაგალითების რომელი ხერხით ამოხსნა უფრო ადვილია?

<u>58 - 9</u>	<u>58 - 9</u>	63 - 8
60 - 9 = 51	58 - 10 = 48	74 - 9
51 - 2 = 49	48 + 1 = 49	53 - 8
		27 - 9

4. გამოსახულებები ისე დაასრულეთ, რომ ჯამი 1 მ-ის ტოლი იყოს?
1 მ = 100 სმ.

___ სმ + 25 სმ + 55 სმ	67 სმ + ___ სმ + 23 სმ
27 სმ + 33 სმ + ___ სმ	39 სმ + 50 სმ + ___ სმ
56 სმ + 14 სმ + ___ სმ	45 სმ + ___ სმ + 15 სმ
48 სმ + 30 სმ + ___ სმ	72 სმ + ___ სმ + 10 სმ

განმაზოგადებელი დავალებები

1. 24 ლიტრი წყალი, 3 ლიტრიან და 2 ლიტრიან ჭურჭლებში რამდენი სხვადასხვა ვარიანტით შეიძლება გადაიცალოს? შესაძლო ვარიანტები ჩამოწერეთ.

2. ხელსაყრელი ხერხით ზეპირად გაიანგარიშეთ.

$$47 + 18 + 23$$

$$53 + 12 + 17$$

$$16 + 14 + 30$$

$$56 + 22 + 4$$

$$34 + 17 + 16$$

$$30 + 41 + 9$$

$$45 + 17 + 5$$


$$51 + 9 + 19$$

$$55 + 5 + 20$$


3. პიქტოგრამის მიხედვით გაცით პასუხი შეკითხვებს:

1) ვაშლის მოყვარული ბანანის მოყვარულზე რამდენით მეტია? თქვენ ამას როგორ ანგარიშობთ?

2) თუ მივიღებთ რომ,

1  = 2 პირს, ვაშლის მოყვარული რამდენი პირი იქნებოდა?

3) თქვენც ჩაატარეთ გამოკითხვა კლასში და შეადგინეთ პიქტოგრამა.



4. 1) შამილი სახლში 12-ს 15 წუთი რომ აკლდა მაშინ მივიდა, ხოლო ქამალი 12-ის ნახევარზე. ვინ მივიდა სახლში უფრო ადრე და რამდენი წუთით?

2) რომელ შემთხვევაში საათის მაჩვენებლისათვის “5 საათია” გამოთქმა უფრო მართალი იქნებოდა?



5.  = 37  = 93 თუ იქნება,  - ის ადგილას მყოფი რიცხვი იპოვეთ.

$$\text{green cube} + \text{blue sphere} = \text{red pyramid}$$

განმაზოგადებელი დავალებები

1. ოქტაიმ ვაშლები ჭურჭელში შეაგროვა. თითოეულში 10 ვაშლით 4 ჭურჭელი გაივსო. 3 ვაშლიც ზედმეტი დარჩა. რამდენი ვაშლია სულ? ამოცანა სურათის დახატვით ამოხსენით.

2. გაიანგარიშეთ და შეადარეთ:

$25 : 5 \quad \blacksquare \quad 4 \times 2$

$15 : 3 \quad \blacksquare \quad 24 : 6$

$4 \times 6 \quad \blacksquare \quad 74 - 15$

$32 : 4 \quad \blacksquare \quad 2 \cdot 8$

$3 \times 7 \quad \blacksquare \quad 13 + 27$

$4 \times 3 \quad \blacksquare \quad 6 \times 2$

$95 - 17 \quad \blacksquare \quad 33 + 16$

$35 : 7 \quad \blacksquare \quad 40 : 8$

3. მოცემული ციფრებით დაწერეთ შესაძლო ორნიშნა რიცხვები. იპოვეთ უდიდესი და უმცირესი რიცხვების ჯამი და სხვაობა.

ა)

3	7	2
---	---	---




ბ)

1	2	6
---	---	---

გ)

4	8	3
---	---	---

4. გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებების გამოყენებით, ჩაწერეთ ფიგურების საერთო რაოდენობის მაჩვენებელი გამოსახულებები.



5. ჯერ გამრავლეთ ან კიდევ გაყავით, შემდეგ შეკრიბეთ.

$5 \times 6 + 4$

$3 \times 3 + 44$

$2 \times 9 + 4$

$3 \times 7 + 27$

$32 : 8 + 19$

$40 : 4 + 35$

$27 : 3 + 43$

$6 \times 3 + 36$

$7 \times 4 + 3$

$5 \times 9 + 55$

$4 \times 10 + 47$

$14 : 7 + 21$

განმაზოგადებელი დავალებები


1. ქვემოთ მოცემული დროები შესაბამისი საათის ჩანაწერებით უჩვენეთ.

ა) დღისით

- 2- ის ნახევარია
- 2 სრული
- 4 სრული
- 5- ის ნახევარია

ბ) საღამოს

- 9- ის ნახევარია
- 9 არის
- 8- ის ნახევარია
- 7-ია



2. შეასრულეთ გამრავლებისა და გაყოფის მოქმედებები:

$24 : 8$

5×8

$24 : 4$

$12 : 3$

4×9

8×4

$25 : 5$

7×3

$35 : 5$

$16 : 2$

5×6

6×4

$36 : 4$

9×2


9×3

3. ქვემოთ მოცემული მოსაზრებებიდან რომელი სწორია, რომელი მცდარი?


- 1) 10-ზე მეტ და 20-ზე ნაკლებ რიცხვებს შორის 3 რიცხვი იყოფა 3-ზე.
- 2) თუ 7-ს 2-ჯერ გავზრდით, 15-ზე დიდ რიცხვს მივიღებთ.
- 3) 23 რიცხვის ათეულების თანრიგის ციფრს 2 ერთეულით თუ გავზრდით 25-ის ტოლი გახდება.
- 4) 1-დან 100-მდე რიცხვებს შორის ათეულებისა და ერთეულების თანრიგების ერთნაირციფრებიანი 9 რიცხვია.
- 5) 33-დან ორ - ორად 100-მდე წინ თვლისას ყოველთვის კენტ რიცხვებს წარმოთქვამთ.

4. სურათები რვეულში ჩაიხატეთ. ბურთულები პირობების შესაბამისად გააფერადეთ.

1) წითელი ფერის ბურთულების ამოსვლის შანსი მეტი იყოს



1) ყვითელი ფერის ბურთულების ამოსვლის შანსი ნაკლები იყოს



LAY H

განმაზოგადებელი დავალებები

1. ჯერ გამრავლების მოქმედება შეასრულეთ. შემდეგ პასუხების ორმაგი რიცხვი გაიანგარიშეთ.

$5 \times 6 = 30 \text{ ორმაგი } 60$

$6 \times 3 = \boxed{?} \text{ ორმაგი } \boxed{?}$

$3 \times 4 = \boxed{?} \text{ ორმაგი } \boxed{?}$

$8 \times 2 = \boxed{?} \text{ ორმაგი } \boxed{?}$

$4 \times 5 = \boxed{?} \text{ ორმაგი } \boxed{?}$

$4 \times 8 = \boxed{?} \text{ ორმაგი } \boxed{?}$

$7 \times 3 = \boxed{?} \text{ ორმაგი } \boxed{?}$

$5 \times 10 = \boxed{?} \text{ ორმაგი } \boxed{?}$

2. რვეულში დაასრულეთ:

$24 \xrightarrow{+6} \boxed{?} \xrightarrow{:6} \boxed{?}$

$24 \xrightarrow{:4} \boxed{?} \xrightarrow{:2} \boxed{?}$

$26 \xrightarrow{+6} \boxed{?} \xrightarrow{:4} \boxed{?}$

$30 \xrightarrow{:3} \boxed{?} \xrightarrow{:5} \boxed{?}$

$14 \xrightarrow{+6} \boxed{?} \xrightarrow{:5} \boxed{?}$


$40 \xrightarrow{:5} \boxed{?} \xrightarrow{:2} \boxed{?}$

3. ქალბატონმა ნასიბემ 10 ლ რძიდან 4 ლ ქვაბში დაცალა. დანარჩენი რძე კი ორლიტრიან ბოთლებში გაავსო. რამდენი ორლიტრიანი ჭურჭელი გაივსო რძით?

4. უპასუხეთ შეკითხვებს. ასეთი შეკითხვები მეგობრებსაც დაუსვით:


- რომელი რიცხვის გაორმაგებით მიიღება უდიდესი ორნიშნა ლუწი რიცხვი?
- 98-ის ნახევარი რამდენია?
- 36-ის ორმაგი რამდენია?
- 72-ის ნახევარი რამდენია?

5. ქერიმმა ერთი გეომეტრიული ფიგურა ქალაქის ზედაპირზე დადო, წახნაგების სურათი გადაიღო. შედეგად ორი წრე მიიღო. რა გეომეტრიული ფიგურაა ეს?



განმაზოგადებელი დავალებები

1. რომელი ფიგურაა დახაზული წრფის მონაკვეთებით? რომელ ფიგურა არის მრუდი ხაზებით დახაზული? რამდენი ფიგურაა დახაზული თან წრფის მონაკვეთით, თანაც მრუდ ხაზით? რვეულში თითოეული ამოხსნისათვის ახალი ერთი ფიგურა დახაზეთ.



2. ქვემოთ მოცემული მონაკვეთები გაზომეთ და რვეულში დახაზეთ.




3. ქვემოთ მოცემული ცხრილი რვეულში დახაზეთ და სავარჯიშოები შეასრულეთ.

- 1) ცხრილის 1-ლ სტრიქონში კენტი რიცხვები მწვანედ გააფერადეთ.
- 2) მეორე სტრიქონში რიცხვები, რომლებიც 3-ზე იყოფა ყვითლად გააფერადეთ.
- 3) 16-ისა და 17-ის ორმაგი წითლად, 44-ისა და 52-ის ნახევარი ყავისფრად გააფერადეთ.
- 4) მეოთხე სტრიქონში 40-ზე ნაკლები და 36-ზე მეტი რიცხვები ლურჯად გააფერადეთ.

21	22	23	24	25
26	27	28	29	30
31	32	33	34	35
36	37	38	39	40


4. სურათზე 1 სმ მანძილი რეალურ ცხოვრებაში 10 მ მანძილს შეესაბამება. სხვადასხვა ობიექტებს შორის მანძილი გაზომეთ და იპოვეთ რეალური მანძილი.



განმაზოგადებელი დავალებები

1. თითოეული სურათის შესაბამისი რეალური ზომა შეარჩიეთ.

2 მ, თუ 20 სმ



30 გრ, თუ 3 კგ



10 ლ, თუ 1 ლ




15 სმ, თუ 15 მ



5 კგ, თუ 50 გრ




5 ლ, თუ 50 ლ



3 მ, თუ 30 სმ




5 კგ, თუ 50 გრ



6 ლ, თუ 60 ლ

2. ასეულის კვადრატის ზედაპირზე მეზობელი რიცხვების ჯამი ნიმუშის მსგავსად იპოვეთ. 1) ნაწილები შეავსეთ. 2) შესაბამისი ჯამები გაიანგარიშეთ.



$$27 + 38 = 65$$

$$37 + 28 = 65$$

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50
51	52	53	54	55	56	57	58	59	60
61	62	63	64	65	66	67	68	69	70
71	72	73	74	75	76	77	78	79	80
81	82	83	84	85	86	87	88	89	90
91	92	93	94	95	96	97	98	99	100

16	17
26	27

	34

32	

54	

	43

	14

22	

29	

3. მაგალითების ამოხსნა ხელსაყრელი შესაკრებების ჯამის სახით ჩაწერით გაიანგარიშეთ.

$$47 + 44 = 47 + 3 + 41 = 50 + 41 = 91$$

$$58 + 35$$

$$48 + 36$$

$$69 + 24$$

$$67 + 26$$




$$78 + 16$$

$$79 + 17$$




განმაზოგადებელი დავალებები

1. 60 სმ, 20 სმ და 70 სმ სიგრძის ძაფებიდან თითოეულს 1 მეტრამდე შესავსებად რამდენი სანტიმეტრი აკლია?

2. რვეულში დაასრულეთ.



3. ჯერ თითოეული ფერის შესაბამისი უჯრების რაოდენობა, შემდეგ კი, უჯრების საერთო რაოდენობა გამრავლების მოქმედების დახმარებით გამოსახეთ.



4. შესაბამისი დრო გაარკვიეთ.

13:45	+ 15 წუთი	→	14:00
12:30	+ 15 წუთი	→	
12:15	+ 15 წუთი	→	

5. ქვემოთ მოცემული სურათები სიმეტრიული სახით დაასრულეთ.

